JK 832 E
1990

ეროვნული ბიბლიოთეკა




დიდება თავისუფლებას!

# ჩვენი დროშა

დამაარსებელი : ნოე ჟორდანია. **NOTRE DRAPEAU** FONDATEUR : NOE JORDANIA.

**ორგანო საქ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარ-გარეთელ ბიუროსი.**
**Organe du Bureau à l'Etranger du parti Social-democrate de Géorgie.**



## თებერვალი

პარიზი 1990 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1990



ძენო ქართლისაო! სრულიად საქართველოს ვაჟკაცნო და ქალნო!




42503

მადლი და კურთხევა იესო ქრისტესი თქვენდა.*

*სრულიად საქ. კათალიკოს – პატრიაქ ლეონიდის საახალწლო მილოცვიდან, ქართველ ერისადმი. თბილისი 1921 წელი.

"ჩვენი დროშის" რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



1868-1953.

ნოე ჟორდანია

უკანასკნელი სურათი.

პარიზი 1952 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შავი



# თებერვალი



## 21

წელი

საქართველოს

ეროვნული

# უკვდავი

# სამგლოვიარო

-- თარიღია --

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძოლა

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. საზღვარგარეთული ბიუროსი || «LA LUTTE» — Revue mensuelle du Parti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

პარიზი, თებერვალი 1926. წელი Paris, Février 1926.

## ხ უ თ ი   წ ე ლ ი.

ხუთი წელი ტანჯვის და მონობის, ტყვეობის და ბორკილების!

რანი ვიყავით გუშინ? ყველაფერი!

რა ვართ დღეს? არაფერი!

ერი პატივაყრილი, ხალხი დაქცეული, მოქალაქე შეკრულ-შებოჭვილი.

საქართველოს მესაფლავენი დღეს დღესასწაულობენ თავის გაბატონებას, საქართველო კი ძაძებით გლოვობს თავის დამარცხებას და მათდამი დამორჩილებას. ისინი იცინიან და სტკბებიან, ჩვენები ოხრავენ და იტანჯებიან.

დღეს ორგვარი მოგონებაა: ერთია ჯოჯოხეთის და მისი მოციქულების, მეორეა თავისუფლების და მისი მოტრფიალეების.

ხუთი წლის წინ ქართველმა ერმა დაკარგა უდიდესი განძი—თავისუფლება და მიიღო უმძიმესი უღელი მოსკოველების. ერის უღირსი შვილები თავს დაეცენ მშობელ დედას უცხო ძალებით, ამოართვეს სული და გაბაწრული ცოცხალ-მკვდარი მიუტანეს მსხვერპლათ თავის მომავლინებელთ. ეს საშინელი სულთამხუთავი, რომლის თავია მოსკოვში, ხოლო ბრჭყალები კი ჩვენში, სწუწნის დაუსჯელათ ჩვენს სიმდიდრეს, ჩვენს ავლა-დიდებას, ჩვენს სულიერს და ნივთიერ საუნჯეს. წაიღეს რის წაღებაც კი შეეძლოთ, გააპარტახეს რაც დახვდათ. მოსპეს მთელი ახალი კულტურა, შრომით და ბრძოლით შეძენილი, და გადაგვისროლეს უკან, დაცემის და გავერანებისაკენ. ისინი დღეს ცეკვობენ ერის სასაფლაოზე.

რა სურდათ, რას ფიქრობდენ? სურდათ ჩვენი ჩაბრუნება რუსეთის სამფლობელოში, ფიქრობდენ ჩვენს გადაქცევას ძველი იმპერიალიზმის გზა და ხიდათ. საქართველო დასჭირდა მოსკოვს მეფეთა აღმოსავლეთის პოლიტიკის გასაგრძელებლათ, ოსმალეთში, სპარსეთში, შორეულ სამხრეთში სამოქმედო ბაზის შესაქმნელათ. მათ კარგათ იცოდენ, რასაც შვრებოდენ, რისთვის აგზავნიდენ თავის ჯარებს ჩვენს წინააღმდეგ. ეს იყო დიდი სახელმწიფოს შეთქმულობა პატარას ჩასაყლაპავათ. ქართველები, ამ ბოროტების მებაირაღტრენი? ამათ ქვეყანა გაყიდეს და მიიღეს სამსახური! თანამდებობაზე გადასცვალეს ერის სხვე-ბედი. განმეორდა სიტყვა-სიტყვით ძველი ამბავი, რუსის ჯარი შემოდის საქართველოში მეორეჯერ ქართველების წინამძღოლობით. ფაქტი ერთნაირია. მისი აზრი კი სხვადასხვაა. პირველი მოპატიჟება მოხდა უცხო მტრის მოსაგერებლათ. ჭავჭავაძენი ემსახურებოდენ ქართველი ხალხის ფიზიკურათ გადარჩენას. რას ემსახურებიან მახარაძენი? რომელი მტრის წინააღმდეგ ამხედრდენ ისინი? ეს მტერია ქართველი ხალხი, მის დასამორჩილებლათ და მასზე გასაბატონებლათ მათ მოიხმეს ნამდვილი მტრები. ჩვენს წინაპართ აქვთ გასამართლებელი საბუთები. ამათ, ამ ჩვენს თანამედროვეთ, არავითარი გამართლება, არავითარი საბუთი არ ადგებათ. ესენი რუსეთის იმპერიალიზმის ყურმოჭრილი მონებია.

ერი თავისუფალი, აღორძინებული, ახალი იმედებით და იდეალებით აღფრთოვანებული დაატყვევეს და რუსეთის დესპოტიას დაუმორჩილეს. რას წარმოადგენს ეს ბატონი, ქვეყანამ იცის. ის გამოფიტულია, არ შერჩა არავითარი ნივთიერი და გონებრივი ღირებულება, გარიყული, განცალკევებული, კაცობრიობიდან გამდგარი—აი ამ არარაობაზე ვართ მიკრული და მის საჯეკნათ გადაქცეული. საქართველო ყოფილა

დამცირებული, მარა არასოდეს არ ყოფილა ასე დაბლა დაშვებული. ის დღეს უფსკრულშია, ამაზე ქვემოთ წასვლა აღარ შეიძლება. მხოლოდ სულის სიმტკიცე და იმედი ატანიებს მას ამ საშინელ ტრაგედიას. «პირსა შინა გამაგრება ისე უნდა ვით ქვიტკირსა»—ეს ძველი სიბრძნე დღევანდელი ჩვენი მნათობია. თავს დაგვატეხეს პირი, ჩვენ უპასუხებთ სიმაგრით. «გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა». ქართველი ხალხის გრდემლს შეასკდა უთვალავი მტერი. ასეთი ბოლო მოელის ახლანდელ მის მტერსაც; ოღონდ კი გრდემლი მუდამ სცემდეს და ჟრს აღვიძებდეს. აწმყო არა გვწყალობს, მარა მომავალი ჩვენია. .

ჩვენი გზა მიდის აღმართ-აღმართ, აღორძინების და თავისუფლებისაკენ. აქეთ მოდის მთელი კაცობრიობა. მათი გზა კი ეშვება დაღმართ-დაღმართ, ჭაობის და ჯურღმულისაკენ. მათ არავინ მისდევს, იმ გზით არავინ მიდის, მას ყველა, მთელი კაცობრიობა, ზიზღით შეყურებს. ახლა ბრმაც კი ხედავს, რომ მოსკოვის მიმართულება გადაშენების ხიდია, აქეთ გასავალი არ არის: ამას ქვანიც კი ღაღადებენ. ამ ღაღადმა გაარღვია თვით კრემლის კედელიც და შეიტანა ხმა სინანულის. მათი დღენი დათვლილია, ხალხის ამაღლება მათი დაცემაა; ქვეყნის აღდგომა მტარვალთა დამარხვაა. ასე ყოფილა მუდამ და ასე იქნება. გლახათ დამწყები გლახათ ათავებს. ეს უცვლელი განაჩენია.

ეს ხუთი წელი წელი ცრემლთა გუბების და სისხლთა მორევის, არის წელი ქართველი ხალხის სულიერი განკურნების. ის ამ ციხეში ინათლება მტკიცე ნებისყოფით. იბანება თავისუფლების წყაროთი და იჟღდება სასიცოცხლო ძალებით.

განვლეთ ეს ხუთი წელი, დრო მეტათ ძნელი. ჩვენი დროშა დაბლა არ დაშვებულა. დგება დრო ნაკლებათ ძნელი, შევდივართ გარდატეხის წლეებში, ჩვენი დროშა მაღლა აიწევა.

მაშ იმედი, კიდევ იმედი, მეტი იმედი!

ნ. ქ.

--.--

მოვა დრო უზარ-მაზარნი
მთანიცა შეიმრეზიან,
ქარი დაჰქროლეზს მედგარი,
ღრუზელნი განიმჭვრევიან!

ზევით ცა ლაჟვარდოვანი,
ქვეშ მიწა შეირხევიან,
აწ გულნი ოდნავ მფეთქავნი,
ლომ-ვეფხვსაც მოერევიან!

მოვა დრო დაჩაგრულეზი,
მამაცად მოიქცევიან,
ერთის წადილით შეკრულნი
ერთს ნდომათ გადიქცევიან!

გრგვინათ ასცყდეზა ყიჟინა,
მშიშარნი გაიქცევიან,
ქვიტკირნი შედუღეზულნი
ჩაინგრევ- ჩაიქცევიან.

--.--

ალექსანდრე ყაზზეგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 19 თებერვალი 21

## საქართველოს ისტორიის სისხლიანი ქარიშხალი.

თებერვალი საქართველოს დაპყრობის თვეა. 69 წლის წინათ განთავისუფლებულ ქართველ ერისათვის მოხდა სამძიმო ერის გულის შემაძრწუნებელი ამბავი, ძალით მოგვტაცეს თავისუფლება და გაგვიუქმეს ჩვენი ერის უდიდესი მონაპოვარი, საქართველოს ახლად ამდგარი, სრულ უფლებიანი სუვერენული სახელმწიფო.

ჩვენი ქვეყნის ჯალათა სურვილის წინააღმდეგ, თებერვლის მარცხმა ქართველი ხალხი კი ვერ დაჩანაგა, კი ვერ დააშორა ერთი მეორეს, დააქუცმაც- დააუძლურა, გამოაცალა უნარი მოქმედებისა და მოუსპო იმედი შეურყეველი თავისუფლების აღდგენისა, არამედ უფრო მძლავრად შეაკავშირა ქართველობა ერთიმეორესთან, უფრო ცხოვლად გვაგრძნობინა ერთმანეთ-შორის ნათესაობა, სიახლოვე დაღვრილი სისხლით და წამებულ სულით, ერთ დაპყრობილ ეროვნების შვილებზე ერთი მეორის ძმობისა და მოყვასეობის.

დღეს დაპყრობილი ქართველი ერი, უფრო მძლავრ უძლეველ და დიდებულ მომძლვრად გვევლინება და გვიჩვენებს მის პატრიოტულ უდიდეს გატაცებას, მისი გონების სიდიადეს, სულის სიმაღლეს და ზნეობა მოქალაქეობის მომხიბლავ სილამაზეს და მოგვიწოდებს არა უნუგეშობისაკენ, არამედ სამართლიანობის დამყარების შეურყეველ იმედისაკენ და 26 მაისის საბოლოო გამარჯვე-

გადაუმეტებლათ შეიძლება ითქვას, რომ დ ი ა დ ი

26 მაისი ქართველი ერის დიდბუნოვანი რეალობაა, რომელშიაც ერის ერთობლივი სულისკვეთებაა გამოხატული, ის მტკიცედ არის დაკავშირებული ისეთ მაღალ გრძნობებთან, როგორიცაა თავისუფლება და სამართლიანობა. რამდენადაც 26 მაისი, ერის თავისუფლების გრძნობა - სთან არის დაკავშირებული, იმდენად ის უნივერსალური ხასიათისაა,და როგორც ასეთი დაუმარცხებელი და მარადიულია. თებერვალი მას ვერასოდეს ვერ გაგვიხმობს. ნ ო ე ჟ ო რ დ ა ნ ი ა ს -- სახელთან არის დაკავშირებული 26 მაისის იდიალი, მან გამოხატა ერის საერთო სულისკვეთება, მისი სწრაფვა თავისუფლებისაკენ და სამართლიანობისაკენ.

დიადი**26 მაისის აქცია** ცილდება ეროვნულ საზღვრებს, და იღებს საერთაშორისო და საკაცობრიო ხასიათის ასპექტს. 26 მაისი,რომ გამოაკლდეს ჩვენი ქვეყნის ისტორიას , მაშინიქნებოდა საქართველო სამუდამოდ დაბნელებული.

თაობათა ცვლა, დროის ულმობელი კანონი რკინის მარწუხივით იჭრება ჩვენს ეროვნულ შეგნების სფეროში და ყველა ქართველის გულშიც სიამაყით მტკიცდება მრწამსი უკვდავი, მრწამსი სამარადისო, რომ 26 მაისის გარიჟრაჟი ინათებს და სულ მოკლე ხანშიც გასტეხს თებერვლის მიერ დახშულ მონობის კარ-ბჭეს და ფართოდ შემოუშვებს ნანატრ თავისუფლებას. თებერვლის შავ ბედი გაკვეთილების გახსენება , ქართველობას კიდევ უფრო ფართოდ აერთიანებს, აკავშირებს და უნერგავს, რწმენას, რწმენას შეურყეველს დიადი 26 მაისის ძლევა მოსილ გამარჯვებისას.

ლევან ფაღავა.

სამშობლოსათვის თავდადებულ

გმირთა არ დავიწყება.

9

აპრილი

# 1989 წელი

ეროვნული

გლოვის

დღეა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# 9

# აპრილი

ქართველი ერის, თავისუფლებისათვის და დამოუკიდებლობისათვის თავგანწირული ბრძოლის და თავდადების დაუვიწყარი დღეა.

9 აპრილი, სიკვდილისა და ჭმუნვის პაემანია, რადგან ამ დღეს ჩვენი ქვეყნის ერთგულ საამაყო შვილებს რუსულ დალესილ ბარ-ნიჩბებით ულმობლათ ვერაგულ დაუნდობლობით დაუჩეხ-შეუნგრიეს ის მკერდი, საიდგანაც სჩქებდა დაუშრეტელი შადრევანი დედულ-მამულის სიყვარულის, თავისუფლების და დამოუკიდებლობის აღდგენის.

თბილისის სისხლიანი დღე 9 აპრილი, მამულისათვის დაღუპულ რაინდთა ხსოვნის სამგლოვიარო დღეთ შევა საქართველოს განმათავისუფლებელ ბრძოლების ისტორიაში.

--..-- ლ.ფ.

ბევრჯელ დაგიმსხვრევია,
ეგ ბორკილი ფოლადის
ძნელად ხელ შესახები
ცეცხლის ალი, რომ ადის
გული არ გაგტეხია, საუკუნე, რომ გადის
შენი მიწის ერთგულო
შენ!...
უცვლელო მარადის.

შოთა აბაშიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# † გრიგოლ რობაქიძე

## ისტორიული წამები.

## * მისაბამი მოსაგონარი შთამაგონებელი თარიღი.



(ამოღებულია გაზ. „საქართველო"-დან. №260, 1917 წ! 25 გიორგობისთვე, თბილისი.)

ძველია გადმოცემა: ქართველი ძლიერია უფსკრულის პირას მიყენებული. მანამდე იგი თითქო სუსტია და მოღალული; ხელის მოქნევა იჭენარევი აქვს და ნება ძალზე მონელებული. ხოლო როცა პირღია უფსკრულს მიადგება, საცა მხოლოდ საშინელი გადაჩეხაა მოსალოდნელი, მაშინ იგი, ვით შმაგი ვეფხვი საფრთხეს წინაშე, იკუმშება სასტიკი ძალ-მოკრეფით და უტეხი ძლევა-მოსილებით აელვარებს მახვილს. ამას მოწმობს მრავალი ტეხილი, საქართველოს ისტორიისა, ამას აცხადებს მრავალი ფაქტი ქართველის სიცოცხლისა. დაჭრილი ქართველი, დაჭრილი ვეფხვის ნახტომით თვითნებობს.

ასეთია ჩვენი ეროვნული ტემპერამენტი. ეს საოცარი თვისება ამ ისტორიულ დღეებშიაც მარჯვედ გამოვიჩინეთ. მსოფლიოს მოედვა ომის ცეცხლი, სამყარო იწვის. მიწის პლანეტა ქაოსის ფრთებით უფსკრულისაკენ მიექანება. რუსეთი წაიღო რევოლიუციის ქარიშხალმა. ირღვევა საუკუნეებით ნაჭედი. იმსხვრევა ყოველი შემოქმედება გაიყინა. აპოკალიპსის, „მცხრალი ცხენის" ლანდი თარეშობს. ყოველგან, ყოვლის მხრით უფსკრულია გათხრილი. და აი, ამ „განკითხვის ჟამს," როცა საქართველოსაც დაუდგა ბედისწერითი საშინელებით კითხვა „ყოფნა-არყოფნისა," იგი იჩენს ნამდვილ ვაჟურ ძლიერებას. აჩქარებული ქართველი სიდინჯით იმართება, იმპულსივი ქართველი ფიქრით იჭედება; მოღლილი ქართველი ნების ფოლადს ამახვილებს.

ეს მოხდა საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე. ამ ყრილობით დაიწყო ჩვენი ეროვნული უღელტეხილი. ეს ყრილობა ისტორიულია უაღრესად. ჯერ თვითონ გარესახე ყრილობის. მრავალ ქართველს ერთგვარი შიში მოიცავდა, „პროვინციალი" არ გამოსულიყო ყრილობა. არის რაღაც საცნაური „პროვინციალსა" და „სატახტოში". ეს არ არის უბრალო დაპირისპირება: არც გეოგრაფიული და არც ადმინისტრატიული. ამ დაპირისპირებაში, უფრო ღრმა შინაარსია ფარულად ნაგულისხმევი: სიცოცხლე თავის-თავადური, თავისუფალი („სატახტო") და სიცოცხლე ფუნქციონალი, დამოკიდებული, („პროვინციონალი"). საბედნიეროდ ქართველთა ყრილობაზე ასეთი შიში არ გამართლდა, პირიქით: ყრილობა უთუოდ ატარებდა „სატახტო" სტილს აკაკი ჩხენკელის შესავალ სიტყვიდან, ნოე ჟორდანიას უკანასკნელ სიტყვამდე. აქ იყო პოლიტიკური გამოცდილება, აქ იყო ზომა-შერჩენილი დიდი ისტორიული პათოსი. ყოველი ეს „გარესახეა" თითქო, მაგრამ თუ ღრმად შევიცნობთ მას, მის გარეგან სამოსელში მეტად გულისხმიერს „შინა-სახე"-ს, დავინახავთ.

და დავინახეთ კიდეც ასეთი სახე. ყრილობა დაირაზმა სხვა და სხვა პოლიტიკური პარტიების ზოლებით, ხოლო, მიუხედავად ამისა, საოცარი ის იყო, რომ მთელი ყრილობა ერთს მაგარს რაზმს წარმოადგენდა. აღარსად ჩანდა ჩვეული ჯგუფური დაყოფა, აღარსად ისმოდა საშინელი „შენ-ჩემობა", აღარ იყო. შუღლი, შური, ღვარძლი, უნდობლობა, გაუტანლობა. ამ ყრილობაზე მოისპო საქართველოს ისტორიის პირვანდელი ცოდვა: არწამება მთელისა და ნაწილის შორის, ერთიმეორის გამანადგურებელი განხეთქილება. აქ ვიგრძენით პირველად ნამდვილი ქმედითი ეროსი, სიყვარული არა რაღაც განყენებულისა არამედ ჭეშმარიტი, ცოცხალი არსისა. ყრილობამ ამხილა შეუცნობელი სიყვარული საქართველოსადმი, რომელიც თურმე მიყუჩებულ ცეცხლივით ყოფილა მიმალული ჩვენში. საქართველო აღიმართა როგორც დიადი მთელი. იგი დადგა ყოვლის განსაზღვრულების მაღლა; იგი გამოცხადდა, როგორც დაუშრეტელი უზენაესი არსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად იყო პოლიტიკური „დოღმა?“ სად გაქრა პარტიული „პროგრამა?“ საით გაფრინდა ვიწრო ჯგუფური „ლოზუნგი“? ამ ყრილობაზე ჩვენ შევიცნეთ, უკანასკნელ წვეთამდე, რომ საქართველო უფრო დიდი ყოფილა, ვიდრე „დოღმა“, „პროგრამა“, „ლოზუნგი“. განა „უზენაესი მთელი“, დიადი სოციალური სხეული რომელიმე ფარგლებში დაეტევა? საქართველომ გაარღვია ყოველი რკალი ჩვენ მიერ შექმნილი და თვითონ გაიშალა უხილავი, ერთს უსაზღვრო მზეოსან რკალად; საქართველო არა, როგორც ემპირიული ფენომენი, არამედ როგორც მეტაფიზიური მყობადი.

საქათველო ყოფილი, არსებული, საყოფელი; ამ რკალმა მოგვიცვა, უნებლიეთ, ყრილობის მონაწილენი და მე. — დაკარგულები ნეტარებით ვიძირებოდით მის თბილს ნირვანში. განვიცადეთ საქართველო მთელი მისი ისტორიული სხეულებით, როგორც ფშანები განიცდიან ფესვებს ათასი წლის მუხისას. აენთო ქმედითი ეროსი ჩვენი, და ვიგრძენით მთელი ქართველობა, ვით ეროვნული, მრავალ საუკუნოთა შორის ხორციელებელი. ჩვენში აღიმართნენ წინაპარნი ჩვენნი: კეთილშობილი რაინდები, მრისხანე მახვილებით და მზით-მოსილნი შემოქმედნი გენიალური პროფილებით..

გარდაილახა ყოველივე ზღუდე, დაიმსხვრა ყოველი ზღვარი; „მე“ „შენ“ ახლანდელი ჟამი და წარსული. დაიმხო ჩვენი უცნაური ეროვნული აპერცეპცია: „საქართველო ეს მე ვარ“, მის მაგიერ ჩაისახა სხვა შემეცნება, უფრო სწორი და მართებული: „ჯერ საქართველო და მერე მე“. ნოე ჟორდანიამ თავისი უკანასკნელი ისტორიული სიტყვით მხოლოდ ეს ფსიხოლოგიური ამბავი დაადასტურა: „ამიერიდან არსებობს ერთი ქართველი ერი.“

ყრილობაზე გაისმოდა ერთი რამ დამაფიქრებელიც; ყველა იმას ამტკიცებდა, რომ საქართველოს თავისუფლება ნაყოფია რუსეთის რევოლიუციისა, ბევრი შესაძლოა ამ ფორმულას ისე გაიგებს, თითქოს ჩვენ ჩვენი ძალებით კი არა, გარეშე ძალებით მოგვეპოვოს თავისუფლება. არას გზით ეს გაგება მისაღები არ არის. ჯერ ერთი: რუსეთის რევოლიუციის ავანგარდი იყო და არის საქართველო;

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენი რაინდი რევოლიუციონერი მისცა რუსეთს საქართველომ? რუსეთის რევოლიუციის ისტორია, საქართველოს გამოურიცხვით არას გზით არ დაიწერება. ქართველი, რევოლიუციონერია ნების ტემპერამენტით. დააკვირდით: იმ დროს, როცა რუსეთი რევოლიუციიდგან ანარქიისაკენ მიექანება, საქართველო მთელს ამიერ-კავკასიაში განაგრძობს რევოლიუციის ორგანიზატორულ გზას, საქართველო რევოლიუციის ცეცხლის შესანიშნავი კუთხეა და მაშასადამე „სხვისით არ არის ნაშობი მისი თავისუფლება. და თავი და თავი: ერი რომელიც ჰქმნის ასეთ ერთსულოვან ყრილობას, ერი, რომელიც აცხადებს ასეთ სახელმწიფო შეგნებას, ერი, რომელიც ასეთი ზომით აფოლადებს თავის თავადურ ნებას, — ის ერი — „თავისუფალია" თვისგნით და მაშასადამე, იმ თავითვე თავისუფალი. იგი ასეთ ჟამს მხოლოდ უხეშ მონობას იცილებს თავიდგან. საქართველოს ისტორიაში ახალი უღელტეხილი აღიმართა მზეოსანი. ქართველმა იხილა საყოფელი საქართველო. ამიერიდან საქართველოს არა უშავს რა. მრავალი ქართველი მომსწრე ამ ისტორიული წუთების იტყვის უთუოდ: „აწ განუტევე მონა შენი!"

---

ან განსვენებულ დიდ მოაზროვნე უბადლო მამულიშვი-
ლის გრიგოლ რობაქიძის წერილს "ისტორიულ წამებს"
განმეორებით ვაქვეყნებთ თქვენდა საყურადღებოთ
საქართველოს განმათავისუფლებელ მოძრაობის. მეთაუ-
რნო,შესასწავლათ დასაფიქრებლათ,და ნათელ გონიერ
დასკვნების გამოსატანათ. ზემოთ მოხსენებულ წერი-
ლს ვაქვეყნებთ "ლიტ.საქართველო"-ში ამა წლის
ხუთ იანვრის ნომერში მოთავსებულ უაღრესათ საინტე-
რესო წერილის გამო, პატივცემულ მწერლის ბატონ
გურამ ფანჯიკიძის ხელის მოწერით"როცა ვნებები
დუღს , ჭეშმარიტება ორთქლდება"

ბატონ გურამის წერილმა გული მომიკლა, ისედაც
უდარდიანებულ სამშობლოდან შორს მყოფ ეულ ქა -
რთველს.თურმე ნუ იტყვით მისი ცნობით საქართველო-

უკვე
ში გარდაქმნის ხანაში მოუსწრიათ ა ს შ ვ ი დ ი

სხვა და სხვა მიმართულების პარტიისა თუ ჯგუფის ჩამოყალიბება, რომელთა მეთაურები გაიძახიან "მე ვარ და ჩემი ნაბადიო". არ იფიქრო პატივცემულო აქაურო მკითხველო მეშლებოდეს, ნამდვილათ 107-ია, თვითონ ბატონი გურამიც ბრძანებს "ცოტა მეტე- ! ვრაო" ჩვენ კი ბატონო გურამ თქვენს წერილში გამოქვეყნებულ ამბებმა გული მოგვიკლა, რადგან ისტორია გვასწავლის და გვეუბნევა, რომ არცერთი ეროვნული საქმე არ გაკეთებულა თანხმობისა და ერთობის გარეშე. ჩვენმა დიდ წინაპრმებმა მოგვცეს სწორეთ დიადი 26 მაისის საქართველო თანხმობითა და ერთობით, და როგორც ბრძანებს ბატონი გრიგოლი "საქართველო აღიმართა როგორც დიადი მთელი. იგი დადგა ყოვლის განსაზღრულების მაღლა ; იგი გამოცხადდა , როგორც უზენაესი არსი". თუ თქვენ გსურსთ იყვეთ ერთგული მსახურნი ჩვენი ერის უკეთეს მერმისისათვის აიღეთ მაგალითი ჩვენი წინაპრებისაგან და უსმინეთ მათ: "ერთობა ჩვენთვის ცახცია მტრებისთვის სახრჩობელაო " ამას გვასწავლის და აქეცკენ მოგვიწოდებს ჩვენი დიდი უკვდავი პოეტი აკაკი.

---..---

ლ. ფ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველი დედის წერილი ომში გაყვანილ შვილისადმი

ხმა მომესმა, შვილო, კართან გუშინა.
შენ მეგონე: გულმა ცემას უშინა.
წამოვვარდი. მეუცხოვა არ იყავ
და საგულემ გული ცივად გარიყა.

შენი პაწა სიდონია, თმათაფლა,
მეკითხება შენზე ყველას უმალა.
„მალე მოვა“ — ვეუბნები ხმადაბლა,
ის კი მატყობს, რომ ცრემლებსა ვუმალავ.

უცხო ჩიტი მოფრინდება: გნოლია.
მიელურტულებს რაღაც ამბავს უგნებად.
ნუგეშინით მამშვიდებს, მგონია,
ხოლო გული მაინც სხვას მეუბნება.

ეგებ გცივა, შვილო, უცხო არეში:
ყინვებია თურმე მანდ ნამეტნავი.
რომ ვიცოდე, თუა კიდევ ნეტავი
ცხრათვალა მზე საქართველოს გარეშე.

ან თუ გდიხარ, შვილო, სადმე ჭრილობილი,
დაგტეხია შავად თავს უბედობა.
ვინ ვიგულვო შენი კეთილმდომელი,
რომ ლბუნებით გაგიწიოს დედობა.

გადაგისვას ნაზი ხელი ყვრიმალთან,
მოგასხუროს სხივი ნატვრის-თვალისა,
ირემივით მხრებში რომ გაიმართო
და მზეს შეხვდე ამომავალს ხალისად.

რა ვქნათ, შვილო! არ ქრის მეკომური,
არ ყვედრიდეს ეხლა ბედის-წერასა.
ნაღვლითაა სავსე ყველგან გომური,
რომ აკლია ვაჟი მყუდრო კერასა.

ცრემლის დენით დაშრეტილი დედები
ვეფინებით თმაგაშლილი ტყე-ველთა:
საქართველოს მიწის საკურთხეველთან
მიგვაქვს ურვა ძუძუდამშრალ მკერდებით.

ვედრებაში დათუთქული გულები
ისხმებიან ერთი გულის ცემადა —
ქართველ დედის ხელით დანერგულები
ზორვით ვაგრძობთ წმინდა გადმოცემათა.

დედაღვთისა იყოს ამის მოწმედა —
ხართ გამძლენი ვით ულპობი ურთხველა.
გადაეცი, შვილო, თანამოძმეთა:
თქვენთან მოდის ჩვენი ლოცვა-კურთხევა.

გრიგოლ რობაქიძე

იანვარი 1943 წ.

ლბუნება — დაშუშება, დანელება.
ურვა — წუხილი.
ზორვა — მსხვერპლის შეწირვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სთმშობლოს თავისუფლებისათვის დევნილ ტანჯულ ჩვენი ეპოხის ერთ-ერთმა დიდ პოეტმა და მოაზროვნე გრიგოლ რობაქიძემ უცხოეთშიდ დაწერილ ამ გულს ჩამწდომ ლექსით წარმოგვიდგინა ყველა ჩვენი დედების გულმოკლული გოდება, მწუხარება, რომლებსაც ჩვენს მოლოდინში მდუღარე ულეველ ცრემლშიდ აღმოხდათ განაწამები ხული.

საუკუნო იყოს ჩვენთვის დევნილნო და წამებულნო დედებო ჩვენნო, ხსენება თქვენი.



423603



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

--..--

დამოუკიდებელ საქართველოს დამარცხების 69 წლის თავზე, საჭიროთ ვსცანით მოვიყვანოთ 1921 წლის თებერვლის დაპყრობის ზოგიერთი ადგილები, რათა მკითხველმა იმ შავი დღეების მდგომარეობა,- ქართველობის სულიერი განცდები მოიგონოს და ერთხელ კიდევ განიცადოს:

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ლეონიდის მოწოდებიდან:

«ძენო ქართლისაო!

საუკუნოებით განწირულ საქართველოს საღმრთო განგებამ არგუნა ხვედრი, გახდეს სამარედ სკვითებისა, რომელთაც შემუსრეს და დასცეს რუსეთი და რომელნიც აზია-ევროპაში მხოლოდ ყველასფერს ანგრევდნენ და ანადგურებდნენ. თითქოს უკეთურნი უახლოვდებოდნენ ჩვენს დედაქალაქს და დამშეულნი ელოდნენ თბილისში გემრიელი პურით და ღვინით გაძღომას, თბილისის განთქმულ აბანოებში დასუფთავებას. მაგრამ როგორც არასოდეს მტკვარი პირს არ იბრუნებს უკუღმა, ისე ჩვენი ვერაგი მტერი ვერ მიაღწევს ბოროტ-განზრახვას, ღმერთი არ აღირსებს მას საქართველოს დაპყრობას. ყოვლად წმიდა ღვთის მშობელი ცეცხლად შეარგებს მას ჩვენი მამულის პურსა და ღვინოს, რომელსაც ქართველობა ვხმარობთ სებისკვრად და ზედაშათ.

საყვარელნო, ფრონტის ზურგში მყოფნო! შევინარჩუნოთ სრული დარბაისლობა, გულის სიმშვიდე და ხასიათის სიმტკიცე. ნუ მივეცემით საშინელ და ცრუ ხმებს».....

«ენდეთ ჩემს ჭაღარას, როგორც ვერავითარი ძალა ვერ მოგლეჯს თავის ძირიდან კავკასიონს, თუ არა მიწის ქვეშიდან ამოხეთქილიი ძლიერება, ისე ვერავითარი ბოლშევიკები და სომეხ-აზერბაიჯანელები (!?) ვერას დააკლებენ, სახელოვან კახელ–ქიზიყელისა, თუშ-ფშავ-ხევსურ მთიელებისა, უტეხი ქართლელებისა და ამაყ იმერ-ოდიშარ-აფხაზ-სვანთაგან შემდგარ საქართველოს ლაშქარს, თუ ფრონტის ზურგი მტკიცედ გვექნება დაცული. გთხოვთ ჩემო ძენო და ასულნო, სამშობლოს სიყვარულით გაიმსჭვალოთ».

«ღმერთმა აკურთხოს და ჩქარი ძლევა-მოსილებით შემოსოს ჩვენი ამაყი ლაშქარი!

ყოვლად წმიდა ღვთისმშობელმა დაიცვას და დაიფაროს თავისი დედობრივი კალთით მისი წილხდომილი საქართველო! ქება-დიდება და მარადისობა ქართველ ერს!»

— საქართველო დაეცა სკვითების ხელით და დიდი კათალიკოს-პატრიარქიც მის მაღალ სამსხვერპლოზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

--..--

დაძცეუძნეპელი კრების წევრ გიორგი ჭვაზაკას წერილიდან:

«ჯერ ომი სწარმოებს, საშინელი ომი, მაგრამ საქართველოს გულიდან, თბილისის კლდეებიდან, უკვე ამოხდა «ვაშა!» და გამარჯვების გრიალი ეფინება ქვეყნიერებას. რუსეთის დამშეულთა ურდოები, რომელნიც ემუქრებიან მთელს განათლებულ კაცობრიობას, წარღვნით და წალეკვით, უკვე ეხეთქა ირაკლი მეფის სტრატეგიულს ხაზებს, ეხლა გაქვითკირებულს ჩვენი მამულიშვილების მკერდით, ეხეთქა, დაიმტვრია შუბლი და დამარცხებული იხევს უკან.

ვაშა საქართველო!

მოხდა დიდებული და გმირული საქმე. ჰწყდება ბედი არა მარტო საქართველოისა, არამედ მთელი კავკასიის და მთელი წინა აზიისა. ამ წამს, განცვიფრებული ქვეყნიერება დაჰყურებს საქართველოს რუქას: როგორ? ამ პატარა ერმა მოახდინა ეს სასწაული?!

ამწამს ლოიდ ჯორჯი, მილლიერანი, ვილსონი თუ ჰარდინგ. უსათუოდ ხელახლად გადასინჯავენ თავიანთ პოლიტიკის გეგმას, იძულებულნი არიან შეუფარდონ იგი ახალ ფაქტორს, მსოფლიო ისტორიისას—საქართველოს. ლენინი, ცნობილი ლენინი, შუბლშეხრილი და დაღვრემილი იყურება სამხრეთისაკენ: ნუ თუ აქ საქართველოს საზღვრებზე, უნდა დამარცხდეს და განიავდეს, მისი ველური ოცნება? ნუ თუ აქ არის შეურყეველ და მტკიცე ზღუდე განათლებისა და თავისუფლებისა?! ჰფიქრობს იგი.

დიაღ, აქ არის! ქართველ ერს არ ეტყობა დაღლილობა, თვითეული ჩვენგანი გრძნობს საიდუმლო ეროვნულ სულს... ცაში დადის ლანდები ჩვენი წინაპრებისა..... საფლავებს უვლის ჟრუანტელი სიცოცხლისა.

ვაშა საქართველო!

— ამ სტრიქონების დამწერი, შეუდრეკელის ნებისყოფით განაგრძობდა საქართველოს დამარცხების შემდეგ დაკარგული თავისუფლების მოპოვებისათვის ევროპაში მოქმედებასა და ბრძოლას უკანასკნელ ამოსუნთქვამდე,—საფლავის კარებამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს დაპყრობის ზოგი ეპიზოდი.

## როგორ დაიწყეს თავდასხმა.

საქართველოზე თავდასხმის რამდენიმე თვით ადრე რუსეთის წითელმა ჯარებმა გაგზავნეს ლორში მრავალი თავისი აგენტები დიდძალი თანხით, რომელთაც დავალებული ჰქონდათ აჯანყების მოწყობა. ამ საქმის ხელმძღვანელად დაინიშნა ლორში ვინმე ლაზიანი, მოსკოვიდან მოსული კომისარი, რომელიც 1919-1920 წელში რედაქტორობდა მე-11 არმიის პოლიტოტდელის გაზეთ «კრასნი ვოინს» (საქართველოს დაპყრობის შემდეგ ის დაინიშნა საბჭოთა სომხეთის სამხედრო კომისრათ). ლაზიანთან ერთად ლორში შეიპარენ ბაქოდან გამოგზავნილი წითელი ჯარის ორი კომისარი ოსეპიანი და სტეპანიანი. ამ ხელმძღვანელებთან ერთად კარაკლისიდან მოსული გადაცმული რუსი წითელი არმიელებიც მრავლად შევიდნენ ლორში და კოლონისტების სოფლებში დაბანაკდნენ. იმ ხანებში ოსმალეთის შემოსევის გამო საქართველოს საზღვრებს მოაწვა მრავალი რუსი და სომეხი ლტოლვილი ყარსის და გუმბრის რაიონებიდან. ეს გარემოება კიდევ უფრო უადვილებდა საიდუმლო აგენტებს დამალვის საშუალებას და წითელი ჯარის გეგმის თანახმად გაცხარებით ამზადებენ იმ «აჯანყებას» რომელიც შემდეგ ქართველი ხალხის სურვილად გამოაცხადეს.

საქართველოს დაპყრობის პირველსავე კვირეებში ბოლშევიკები დაუფარავად სწერდნენ და ლაპარაკობდენ ამაზე, თუმცა იმავე დროს ევროპას სულ სხვა ინფორმაციას აწვდიდენ. აი როგორ მოგვითხრობდა ლორის «აჯანყების» შესახებ საქართველოს დამპყრობ მე-11 არმიის პოლიტოტდელის ორგანო «კრასნი ვოინი». 1821 წ. 16 აპრილის ნომერში (801). იქ მოთავსებული იყო ვინმე ევ. ბორისოვის წერილი სათაურით: «აკვანი სოციალური რევოლიუციისა საქართველოში». სადაც სწერდა: «ასე უწოდებენ ლორს ზოგიერთი კომუნისტი ამხანაგები საქართველოში მთელი იმ ხნის განმავლობაში, როცა ლორი ნეიტრალურ ზონას წარმოადგენდა. აქ იყო დიდი ქსელი კომუნისტური იაჩეიკებისა. რომელნიც ხან აშკარად და ხან ფარულად განაგრძნობდეხ მუშაობას. საქართველოს ჯარების მოსვლამ საბოლოოდ ჩადენა იაჩეიკები არალეგალურ სოროებში. ჩავედით რა იატაკ ქვეშ, დავნაწილდით მცირე ნაწილებათ მუშაობის გასაფართოებლად და კომუნისტური პარტია შეუდგა თავისი გავლენის გაძლიერებას, მას თბილისის კომუნისტური კომიტეტი ხელმძღვანელობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ამას საზღვარი დაუდო თბილისის ორგანიზაციის დარბევამ მენშევიკების მიერ მაშინ ლორის ველის კომუნისტური მხედველობა მიპყრობილი იქნა ყარაკლისში მდგომ რუსეთის წითელი ჯარისაკენ. ბნელ ღამეებში, ღრმა თოვლში, ქარბუქისაგან დაფარული ბილიკებით ბეზობდალის უღელტეხილზე მიემგზავრებიან შიკრიკები ყარაკლისში ლორის იაჩეიკებიდან კავშირისა და ინფორმაციისათვის. გადაცმულნი, გრიმებით მოწყობილნი, ეს შეუმჩნეველი გმირები აკეთებდენ თავის საქმეს. უხსნიდენ რა ფართო მასებს საბჭოთა ძალაუფლების იდეას და ამზადებდენ აჯანყებისათვის. პარტიული დისციპლინის დაუმორჩილებლობისათვის იაჩეიკები სასტიკად სჯიდნენ დამნაშავეთ.

ღამით 11-12 თებერვალს აჯანყება დაიწყო. შეიტყო თუ არა მენშევიკების მთავრობამ, მოემზადა აჯანყების ჩასაქრობად. ასე რომ ზოგიერთ სოფლებიდან იძულებული შევიქენით უკან დაგვეხია. ღრმა თოვლში, ძლიერ ყინვაში. ღონემიხდილნი ვიხევდით აჯანყებულნი მთებში. მაგრამ ძლიერი იყო ჩვენი რწმენა და მოახლოვდა თუ არა რუსეთის წითელი ჯარები, დაიწყო ძლიერი შეტევა საქართველოს წინააღმდეგ. გავიდა რამდენიმე დღე და გამარჯვებულმა წითელმა ჯარებმა ლორეში საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა. საჩქაროდ შედგა რევკომი თითქმის ყველა სოფლებში (რუსების და სომხების), არსებობს კომიაჩეიკები...»

## ბ რ ძ ო ლ ა.

### პირველი ცნობა საქართველოს გენერალურ შტაბისა.

12 თებერვალი, 1921 წელი. «ღამით 11 დან 12 თებერვალს რეგულიარული ჯარის ნაწილები სომხეთის მხრით მოულოდნელად დაესხენ თავს ბეზობდალით ჩვენს მოწინავე სადარაჯოებს სადგურ შაგალისთან და სოფელ შანიხთან ბორჩალოს მაზრაში. ამავე დროს ბორჩალოს მაზრაში მოსაზღვრე მოსახლეობის ნაწილმა, შემდგარმა სომხებისა და რუსებისაგან, მოახდინა აჯანყება და შეუერთდა თავდამსხმელთ. მეორე ნაწილი კი ჩვენი ერთგული დარჩა და თავის დროზე შეგვატყობინა განზრახული თავდასხმის შესახებ. ბეზობდალის მხრით თავდამსხმელნი გავფანტეთ. ვორონცოვკის რაიონში აჯანყება დაძლეულია. შაგალის, უზუნლიარის და შინიხის რაიონებში ბრძოლა სწარმოებს».

14 თებერვლის საშუადღეო ცნობა. «13 თებერვალს ჩვენი ჯარები აწარმოებდენ ბრძოლას ვორონცოვკის და სადახლოს სამხრეთით. ხელში ჩაგვივარდა ტყვეები, რომლებიც მოწმობენ, რომ ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებენ სომხურ-რუსული საბჭოთა ჯარები».

15 თებერვლის ცნობა. «14 თებერვალს სადახლოს რაიონში სწარმოებდა სროლა და მზვერავთა მოქმედება. მტერს ამ რაიონში აქტიობა არ გამოუჩენია.

ლორის ველზე მტერი შეეცადა გადასულიყო შემოტევაზე, მაგრამ ჩვენი ჯარების ცეცხლმა მტრის ცდა გააქარწყლა. ღამით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ამ რაიონში უფრო ხელსაყრელი პოზიციები სიმაღლეზე, რომლებიც ვორონცოვკის ჩრდილოეთით მდებარეობენ.

არტილერიის ნაწილი, რომლის შესახებ 12 თებერვლიდან ცნობები არ გვქონია და რომელიც შინიხის რაიონში დაღუპულად ითვლებოდა, გზა გაიკაფა მის გარშემორტყმულ მტრის რკალში და მთის ბილიკებით გამოვიდა თავისიანებთან შესაერთებლად».

19 თებერვლის ცნობა. «ღამით 18-დან 19 თებერვალს მტერმა დიდი ძალებით იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე ტფილისის კარებზე. გააფთრებული ბრძოლა მთელი ღამე გაგრძელდა. მტერი უკუგდებულ იქნა მძიმედ დაზიანებული და უწესრიგოდ მირბის. ჩვენ უკან მივდევთ. ჯერჯერობით ხელთ ვიგდეთ 1000 ტყვე».

20 თებერვლის ცნობა. «კოჯორის რაიონში ჩვენ ხელთ ვიგდეთ ზარბაზნები, ტყვიის-მფრქვევები. მტრის დევნა გრძელდება.

გაგრის რაიონში მდინარე მეხადირზე სწარმოებს ბრძოლა».

21 თებერვლის ცნობა. 20 და 21 თებერვალს ღამით მტერმა ახლად შემატებული ჯარებით გაძლიერებულმა, ორჯერ შეუტია ჩვენს ნაწილებს კოჯორის რაიონში. ორივეჯერ მან მიაღწია ჩვენს სანგრებამდე. პირველი იერიში მოგერიებულ იქნა ხელით სასროლ გრანატებით. მეორე კი ხიშტით შეტაკებით დამთავრდა. ჩვენი ჯარები, მიუხედავად უკიდურესი დაღლილობისა ხანგრძლივ და მძიმე ბრძოლის გამო, ორჯერ გადავიდენ კონტრ იერიშზე და მამაცური თავდასხმით უკუაგდეს მტერი. ყველა შემდეგი ცდა მტრისა შემოეტია ჩვენი ნაწილებისათვის უკუგდებული იქნა ცეცხლით. დილის 9 საათზე 21 თებერვალს მტერმა დაიწყო უკან დახევა...

20 თებერვალს დაიწყო მტრის შემოსევა ადლერის მხრით. საფრანგეთის ესკადრა ჩვენი ტერიტორიის თავდაცვის საქმეში დახმარებას გვიწევს ჩვენ არტილერიის ცეცხლით, ის უშენს ბოლშევიკებს ფლანგის მხრით».

22 თებერვლის ცნობა. ტფილისის მიდამოებში ჩვენი ჯარები მისდევენ კოჯორთან დამარცხებულ მტერს. გუშინ ჩვენმა მოწინავე ნაწილებმა და მზვერავ რაზმებმა დაიკავეს სოფელი კუმისი და წალასყური: კუმისთან მოულოდნელი თავდასხმით ღამე ჩვენებმა ხელთ იგდეს მტრის 8 ტყვიის მფრქვეველი, 3 ოფიცერი და 53 წითელარმიელი. წალასყურთან —ყუმბარის და ვაზნების ყუთები...

კახეთში დაიწყო ადგილობრივ გლეხობის ძლიერი პარტიზანული მოქმედება ბოლშევიკური კავალერიის წინააღმდეგ.

უკუგდებული იქნა მტრის ცდა ჩვენს მოწინავე პოზიციებს მოახლოებოდა დარიალში.

23 თებერვლის ცნობა. «22 თებერვალს თბილისის მიდამოებში სიმშვიდე იყო, მხოლოდ საღამოს დაიწყო მტრის მცირე ნაწილების შემოტევა ყარაიაზის მხრით საგარეჯოზე.

კახეთში გლეხების პარტიზანული ბრძოლა ძლიერდება.

დარიალის ხეობაში მტრის შემოტევა უკუგდებულ იქნა.

გაგრის მიმართულებით მტერმა მრავალრიცხოვანი ძალებით შემოუტია ჩვენს მოწინავე სადარაჯოებს: ბრძოლები გაგრასთან გრძელდება...»

«ლომებივით იბრძვიან იუნკრები, საერთო ხმაა და, მართლაც, ყველა ნაწილებიდან იუნკრები ყველაზე მედგრად და განუწყვეტლივ ამაგრებენ ფრონტსა. ზურგიდან გამაგრებულ არტილერიით, ისინი ჩასაფრებიან წუნკალა მტერსა და მთელი დღე და ღამე, როგორც ზღვის ტალღებს, უკან აქცევენ ბოლშევიკების იერიშებს. განდევნილნი კოჯრიდან და ქოროღლიდან, უკანასკნელნი ასკდებიან ტაბახმელის მაღლობებს, მაგრამ ამაოდ. ზარბაზნები, ტყვიისმფრქვეველები, დაჭრილ-დახოცილნი და სურსათი გაბნეულა მთელს მტრისაგან დატოვებულ, ბრძოლის ველზედ და სისტემატიურად ახევინებენ უკან მაღლობიდან მაღლობზედ და უმზადებენ საერთო ტომარას....... ყველგან ერთი და იგივე ხმა: «არას გზით მივცემთ თბილისს. ბოლშევიზმი საქართველოდან იწყებს მისი საფლავის თხრასაო».».

--..--

ეროვნული ბიბლიოთეკა

---•---

## როგორ შემოვიდნენ თბილისში.

### (ბოლშევიკური წყაროებიდან)

 აი როგორ აგვიწერს თბილისის აღებას მე-11 არმიის ორგანო «კრასნი ვოინი» 1921 წლის 25 მარტის ნომერში.

...«ჯავშნიანი მატარებელი, ხოლო შემდეგ ტანკების რაზმი, წავიდნენ წყნარად, მაგრამ მრისხანებით და დიდებულად, როგორც გოლიათები, რომელნიც სინჯავენ მიწას, რათა თავის სიმძიმით არ გასრისონ ის. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იყო. სადგურები: სალოღლი, ბეიუკ-კაისიკი და ყარაიაზი უდაბნ..სებური და დაღვრემილია. მაგრამ ნაღმებით მოწყობილია მტრის მიერ, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის თანახმად.

ჩვენ აქ გავცურეთ როგორც ბნელმა ჩრდილებმა. ქართველებს მოუხდენიათ ყველაფრის ევაკუაცია იმ უიმედობით და გრძნობით, რომ უძლურნი არიან გაუძლონ და წინ აღუდგენ რუსეთის ძლევამოსილ და მრისხანე ძალას.

ირგვლივ არც ერთი რკინის გზელი, არცერთი ცოცხალი არსება. თუნდ თავისუფალი სამხედრო სამსახურიდან. გარდა შემთხვევითი ჩვენი წითელ არმიელებისა და უთვალავ ცხვრების ფარისა, რომელიც დაუტოვებიათ გაქცეულ ქართველ თავადებს.

ყარაიაზში გაფუჭებულია წყლის ამოსაღები. აკეთებენ მთელ დღეს და მხოლოდ ღამით გამოჩნდა წყალი. ნერვიული მდგომარეობაა. ჯავშნიან მატარებლებმა თავი მოიყარეს სადგურთან.

მიღებულია ბრძანება: გადით დილით. თავი მოიყარეთ სადგურ ალტაგლასთან და მოემზადეთ თბილისზე იერიშისათვისო, ჯავშნიანი მატარებელი №,.. მიდის წინ მეთაურად; მთელ რიგ უძილო ღამეებიდან ყველას თავი სტკივა, მაგრამ ფიქრი და აზრი ერთი გვაქვს: «წინ თბილისისკენ».

მთელი ღამე დაღმართები, მისახვევები და რემონტი დამწვარი ხიდებისა. დილის 7 საათზე ჯავშნოსნები თავს იყრიან სადგურთან. ტანკები—ეს თანამედროვე საკვირველებანი, ქვეითი ჯარის მრისხანე მტერნი, დაღვრემილნი განთიადის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნასლში მიფორთხავენ თავის პლატფორმებიდან ქვევით.

თენდება, სამხედრო წყობა მზად არის. გაუსროლელად, მშვიდად მიფორთხავენ ფოლადის საშინელებანი—ტანკები. სამარისებური სიწყნარეა... მტერი ჩუმად არის. ნერვები დაჭიმულია, და უეცრად პირველი შემაშფოთებელი ხმაურობა, აგრუხუნდენ. ოხვრით ამუშავდენ ზარბაზნები. მტერი შეშფოთდა, მაგრამ მალე მოვიდა გონს და გრიგალისებური ცეცხლი დაანთო. ელვის ენებმა დასერა ცა. ქართველები მძიმე გაუბიცების გამანადგურებელ ცეცხლით ხვდებიან ღირსეულ მტერს. შედრკენ მრისხანე საკვირველებანი—ტანკები, როცა იგრძნეს ტკივილები მძიმე ჭრილობებისგან, მაგრამ ადამიანის ნებისყოფამ გადააჭარბა და ისინი ისევ მიფორთხავენ და მიფორთხავენ.

ქართველები მთელ თავის ცეცხლს უშენენ ჯავშნიან მატარებლებს, ხოლო ტანკები, ეს «გაიძვერა», ეშმაკი, ფოლადის კუები, როგორც მრისხანე ღრუბლები მიდიან წინ ჯავშნოსანთ მფარველობის ქვეშ, მუცლით მიხოხავენ რკინის გზის ლიანდაგის გასწვრივ და მაღალი «ურა» ქვეით წითელ არმიელთა ხვდება სიხარულით მათ გამოჩენას.

მტრის ბატარეები გატაცებულია ჯავშნოსნებით და შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ტანკებს, სანამ უკვე გვიან არ არის. როგორც იყო შეფორთხდენ ტანკები დანიშნულ ადგილას და დაიწყეს ლაპარაკი სიკვდილის მოციქულებმა.

... მტერი წინ არის,—და ისევ აგრუხუნდენ ზარბაზნები, ისევ დაიწყეს მუშაობა სიკვდილის მოციქულებმა—ტანკებმა. ამასობაში ჯავშნოსნები გაბედულად მიდიან წინ. მტრის ყუმბარებს გადაუჭრიათ ლიანდაგი, მას ვაკეთებთ და მხოლოდ ორთქლმავალთა კვამლი, რომელნიც მოსჩანან შორიდან, გვიჩვენებს, რომ ტექნიკა ამარცხებს ცოცხალ ძალას, ის იმარჯვებს.

·დადგა ღამე. ყველაფერი მიმკვდარია, მაგრამ არ მიძინებულა. ვაკეთებთ ლიანდაგს, ხიდებს და გათენებისას ისევ თბილისისაკენ. მუხანათმა მტერმა ააფეთქა მთელი რიგი ხიდებისა. გააფართოვა და აყარა ლიანდაგი, მაგრამ ენერგიამ და წინდახედულებამ გაიმარჯვა მათზე და ხელახლა ამუშავდენ ფოლადის საკვირველებანი, სიკვდილის მოციქულნი—ტანკები.

აი ნავთლულიც, ხოლო მის შემდეგ თბილისია. მტრის წინააღმდეგობა გატეხილია. მან უკან დაიხია და ჩვენ გამარჯვებულნი, ჯავშნოსნებით, «ინტერნაციონალის» სიღერით, პირველნი შევედით თბილისში. ტანკები შევიდნენ ქალაქში მეორე მხრიდან... თბილისის სადგურზე მე-11 არმიის უფროსმა, გეკკერმა, მიულოცა ჯავშნოსნებს გამარჯვება და მადლობა უთხრა თავდადებულ მუშაობისათვის...»

ეროვნული ბიბლიოთეკა

## როგორ აცნობეს ევროპას.

სწორეთ იმ დღეებში, როცა ზევით ორი მოპირდაპირე წყაროს მიხედვით აწერილი ბრძოლები სწარმოებდა საქართველოს ტერიტორიაზე ბოლშევიკურ რუსეთის და დემოკრატიული საქართველოს სამხედრო ძალებ შორის, მოსკოვი რადიო-დეპეშით ამცნობდა მთელ ქვეყანას—ქართველი მუშები და გლეხები აუჯანყდენ საქართველოს მთავრობას და თბილისზე ილაშქრებენო. ხოლო რუსული ტანკებით, ჯავშნოსნებით და სხვა და სხვა ჯარის ნაწილებით თბილისის აღება მოსკოვის სააგენტომ შემდეგი ლაკონიური დეპეშით ამცნო ქვეყნიერებას: «კრასნიმი პოვსტანცამი ვზიატ ტიფლის»—წითელმა აჯანყებულებმა თბილისი აიღესო!

## ქართველი ხალხის მოღალატეები.

დამფუძნებელმა კრებამ 21 თებერვალს საღამოს სხდომაზე გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

I.

«იღებს რა მხედველობაში, რომ საქართველოზე თავდასხმაში მონაწილეობას იღებენ ქართველი ხალხის უღირსნი შვილნი. დამფუძნებელი კრება ადგენს: ყველა ქართველები, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებენ შეიარაღებულ ბრძოლაში საქართველოს წინააღმდეგ ან დახმარებას უწევენ ამ ბრძოლას, გამოცხადებული არიან ქართველი ხალხის მოღალატეებად. მათ ერთმევათ ყოველივე ქონება და კანონს გარეშე არიან გამოცხადებულნი. ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა ევალება მთავრობას».

II.

«მოის`ინა რა მთავრობის თავმჯდომარის მოხსენება, რომლიდანაც ირკვევა, რომ შულავერში შედგა ჯგუფი, რომელიც თავისთავს საქართველოს მთავრობას უწოდებს, რომ აღნიშნული ჯგუფი მოუძღვის საბჭოთა რუსეთის ჯარს საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ.

დამფუძნებელი კრება ადგენს:

ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, ბუდუ მდივანი, შალვა ელიავა, მიხეილ ოკუჯავა, ლადო დუმბაძე, ომარ ფაიკი, ალექსანდრე გეგეჭკორი და ბესო კვირკველია გამოცხადებული იქნენ ქართველი ხალხის მოღალატეებად, ჩამოერთვას მათ ყოველივე ქონება და დაყენებული იქნან კანონს გარეშე. *)

---

*) იხ. ჟურნალი «ბრძოლა» № 19-20, 2927 წ.

1989 წელში მომხდარ პოლიტიკურ ამბების მოკლე

მიმოხილვა.

---..---

# 89

წელი ჩვენი ბედშავი სამშობლოსათვის დარჩება მუდამ საგონებელ 9 ა პ რ ი ლ ი ს ველურ ულმობელ, ვერაგულ, სისხლიან ტრაგიკულ დღის აღსანიშნავ თარიღათ, ხოლო კაცობრიობის ისტორიაში, ის შევიდა სასწაულებრივ წლის სახელწოდებით, რადგან ამ წელს აღდგენ ჩაგრულნი და ელვის სისრაფით გოლიათურ გამბედაობით დაანგრ-ჩა-აქციეს და უკუაგდეს ის წყობილება, რომელიც მათ არ აურჩევიათ და ძალით მოახვიეს, რომელმაც ათეულ წლების განმავლობაში ისინი აქციეს მუნჯათ, ყრუთ და მონებათ.

კომუნისტურ რეჟიმმა სამარცხვინოთ დაამთავრა მისი არსებობა აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყნებში და სამარადისოთ დალახრული კრულ იქნა მისი ხსენება, რადგან პოლიტიკურათ, ეკონომიურათ, სოციალურათ და მორალურად ის გახდა მტკივნეულ სორცმეტათ ჩაგრულ ხალხთა სხეულზედ. დღეს ამ რეჟიმიდან განთავისუფლებული ერები მის სახელს თაკილი ზიზღით იხსენიებენ.

ლენინური კომუნიზმი დალპა, გალაყდა, გამოდგა სრულიად უვარგისი და მიუღებელი, განიცადა კატასტროფიული ჩავარდნები და განაწამები ხალხი ისტორიის უფსკრულში გადაჩეხა.

ლენინურ სისტემის სისხლიან ტერორით დამყარებამ მსოფლიო კონტინენტის მეექვსედ ტერიტორიაზედ, საბჭოთა რუსეთი აქცია იმ ქვეყნათ, რომელმაც ყველაზე მეტი ზიანი, ტანჯვა - ვაება მოუტანა არამც თუმის მიერ დაპყრობილ პატარა ერებს რუსის ხალხის ჩათვლით, არამედ მთელ კაცობრიობას ადამიანთა კეთილშობილობის შემარცხვენელ რეჟიმის თავისებურობით.

ლენინმა და მისმა მემკვიდრეებმა 72 წლის განმავლობაში დააბეს ხალხი და აღმოფხვრეს თავისუფლება, ეს ადამიანის განუყრელი ღვთიური საფუძველი.

ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ მაშინაა ადამიანი, როცა იგი თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ა.

ლენინმა ოქტომბრის გადატრიალებით ჩაიგდო ხელის-უფლება, დაამყარა პიროვნების, ერების, ხალხის უსიტყვო მორჩილება და ბოლშევიკური გასისხლიანებულ ხიშტით მას სიჩუმის სარქველი დაადო.

დიდი ხნის ტანჯვამ და ჯალათთა მიერ უდანაშაულო ადამიანთა დანთხეულ უმანკო სისხლმა საბოლოო ნანატრი ნაყოფი გამოიღო: აღმოსავლეთ ევროპის ერებმა მოიპოვეს თავისუფლება, აღდგა ურთიერთ დახმარების შეგნება მოვალეობა და ადამიანის უფლებების პატივისცემა.

ამ სურვილებით და იმედით შევდივართ 1990 წელში, გაგვიმართლებს ეს ახალი წელი ჩვენ,პატარა ერების სურვილებს და მისწრაფებებს?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ წელს პატარა ერებს ექნებათ დადებითი მიღწევები, მხოლოდ ერთ აუცილებელ პირობით, თუ ჩვენ გამალებით არ ავჩქარდებით, სიტყვას და მშვიდობიან თანასწორ უფლებრივ დიალოგს მივცემთ უპირატესობას და არა თოფის ლულას.

ჩვენ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობა და ჩვენი ორი დიდი მუსულმანური მეზობლის "კეთილი სურვილები" ჩვენდამი და არც უაღრესათ დამაფიქრებელი ჩვენ მიწაზე ჩვენ მიერვე ჩამოსახლებული სხვა გვარ-ტომების ხალხი, მათი უმართებულო მოთხოვნილებები და მტრული განწყობილება ჩვენს მიმართ.

გორბაჩოვიზმი უსათუოთ დიდი პროგრესიული მოვლენაა, მას მხარს უჭერს მთელი ევროპა,ამერიკა და დიდების გვირგვინს ადგავენ თავზედ.

ამერიკამ, და ევროპის კომუნოტემ მხარი დაუჭირესგორბაჩევის იარაღით ინტერვენციას აზერბეიჯანში და განაცხადეს "დემოკრატია ვერ ითმენს ანარხიას, ის მოითხოვს წესიერებას და ამის აღსადგენათ საჭიროა იარაღის ხმარება, რაც სამწუხაროთ სისხლით თავდებაო, და დახძინეს ჩვენი მოვალეობაა ეკონომიური დახმარება აღმოუჩინოთ გორბაჩოვს".ამ . მათ საჯარო განცხადებას კვერი დაურტყა ინგლისის პრემიერ მინისტრმაც მადლობის გამოცხადებით.

ჩვენ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ მარტონი ვართ,არავინ ჩვენ უცხოეთშიდ მხარს არ დაგვიჭერს, გამოსავალი ადგილზე უნდა გამოვნახოთ, ჩვენი საკითხი წყდება მოსკოვში და არა სხვაგან, ერთა განთავისუფლების გასაღები დღეს გორბაჩოვს უდევს ჯიბეში, ჩვენ ცოტანი ვართ, უნდა დავზოგოთ ჩვენი ფიზიკური ძალები, ეს იცოდენ ჩვენმა წინაპრებმა და ამიტომ საქართველომ დღევანდლამდის მოაღწია და ითვლის საუკუნეებრივ არსებობის წლებს.

თუ ჩვენ გვსურს დადებით შედეგებს მივაღწიოთ, ჩვენი

უპირველესი მოვალეობაა, ერთად ყოფნა საქართველოს გასხივოსნებულ ბრწყინვალე მომავლისათვის, რადგანაც ისტორია, გვასწავლის და გვეუბნევა, რომ არცერთი ეროვნული საქმე არ გაკეთებულა ერთობის გარეშე.
მეორე-: თანასწორ უფლებრივ ნიადაგზედ დიალოგი გორბაჩოვთან, და თუ არ გადავაჭარბებთ დღევანდელ გარდაქმნის ხანაშიდ მრავალ დადებით შედეგებს მივაღწევთ, საქართველოს კეთილდღეობისათვის, რისთვისაც აუცილებელია რუსეთთან ნამდვილი მჭიდრო მეზობლური ურთიერთობის შექმნა, რომელიც დიდ სარგებლობას მოუტანს ორივე მხარეს, ხელს შეუწყობს "პერესტროიკის" განტმკიცება ზეაღსვლას, რომლის გამარჯვება უნდა გახდეს საბოლოო მიზანი და ამოცანა ორივე მხარესათვის.
"პერესტროიკა" გახდა ის დასაყრდნობი ბერკეტი, რომლითაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა გადააგდრიალეს კომუნისტური რეჟიმი და მოიპოვეს თავისუფლება.
"პერესტროიკამ" შექმნა ახალი მიმდინარეობა, რომელიც კარს უღებს დემოკრატიულ პლურარიზმს, და აზრთა თავისუფლად გამოთქმას.
სად უნდა მოხდეს აზრთა გაცვლა-გამოცვლა თუ არა თანასწორ უფლებრივ, მშვიდობიან ევოლუციურ დიალოგში, რომელიც მოგვცემს საშუალებას სასურველ შედეგების მიღწევებისათვის? ჩვენი პასუხია: დ ი ა ლ ო გ ი თ, რომელიც უნდა გახდეს ჩვენ გზად და ხიდათ, რადგან ის აღადგენს ერთმანეთის ნდობას და აზრთა დაახლოებას, რაც არასოდეს არ ყოფილა ისე საჭირო, როგორც დღევანდელ მშფოთარე ძნელადობის ხანაშიდ.
ჩვენ საჯაროთ ვაცხადებთ, რომ დიალოგში ვგულისხმობთ

და ვდებთ იმ რწმენას და შინაარს, რომ ჩვენს იდეოლოგიაში და ჩვენს პოზიციაში ნაციონალურ საკითხში არაფერი გვაქს უკან დასახევი:არც, როგორც ქართველ ხალხს და არც, როგორც ქართველ სოციალისტებს.

ჩვენი მიმართულება ნაციონალურ საკითხში სრულებით ეთანხმება "პერესტროიკის"მიმართულებას და დემოკრატიულ პლურალიზმს.

დღევანდელი საბჭოთა კავშირის მართველი გორბაჩოვი თუ მართლადაც ეძებს გზას,თუ გზებს საბჭოთა რუსეთში ძალით მყოფ ერების საკითხის დადებითად, მისალებ ფორმებში გადაწყვეტას, ჩვენ მთელი ჩვენი შეგნებით მასთან ვართ, და შევდივართ მასთან კავშირშიდ,როგორც ე რ ი  თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი.

ჩვენი სიმტკიცე ჩვენს ეროვნულ მისწრაფებაში, ჩვენი პატრიოტიზმი კი არ გვაშორებს ჩვენ დიდ მეზობელ მომავალ დემოკრატიულ რუსეთთან არამედ გვაახლოებს მასთან ერთა თავისუფლათ თვითგამორკვევის ლოზუნგით, ხოლო გზა ამისკენ მიმავალი გულისხმობს ყველა ერების თ ა ვ ი ს უ ფ ლ ა თ  ა რ ს ე ბ ო ბ ა ს და მათ უანგარო სიყვარულს და ურყევ კეთილშობლურ ძლიერ

პ ა ტ რ ი ო ტ ი ზ მ ს.

---..---

ლევან ფალავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოკლედ

საქართველოდან ჩვენ მივიღეთ მოკლე ცნობა ტელეფონით, რომ თბილისში იწვევენ ამდენიხნის დევნილ განაწამებ· ს.ს.დემოკრატიულ პარტიის ყრილბას და გვატყობინებენ, რომ გამოგვიგზავნეს სათანადოთ გაფორმებული მანდატი, როგორც ყრილობის დელეგატს საფრანგეთიდან,დაწვრილებითი ახსნა განმარტებითი წერილით, რომელიც ჩვენ დღემდის არ მიგვიღია.

ჩვენ უღრმეს მადლობას უცხადებთ ყრილობის მომწვევ კომისიის წევრებს ყურადღებისათვის,მაგრამ მწუხარებით გამოვთქვამთ სინანულს, რომ ჩვენ ვერ შევძლებთ ამ საპატიო ყრილობაზე დასწრებას.

იძულებით შორეთიდან ჩვენ ხატება საქართველოდან გამოღმა დარჩენილი ს.ს. დემოკრატიული პარტიის წევრები ჟურნალ "ჩვენი დროშის " მეოხებით ... გულ-წრფელათ ვესალმებით ამ დიადი პარტიის პირველ ყრილობას, რომელმაც მთელი ერის ნება -სურვილით და ნდობით აღჭურვილმა, აღადგინა ხაქრისტიანო საქართველოს დამოუკიდებლობა, . . . ფორმათ წყობილებისა აირჩია დემოკრატიული რესპუბლიკა, და გვიბოძა ბრწყინვალე შარავანდით მოსილი უკვდავი 26 მაისი.

ცნობილია, რომ ჩვენი ქვეყნის ჯალათებს ეპირველეს ყოვლისა მთელი თავის რისხვა მიქონდათ სწორედ ამ პარტიის გასანადგურებლათ და ქართველთა ხსოვნაში მის აღმოსაფხვრელათ, მაგრამ მათ ეს ვერ შესძლეს, რადგან ამ ეროვნულ პარტიას ღრმად ქონდა ფესვები გადგმული ერის სულსა-გულსა და შემეცნებაში.

ვინაიდგან ჩვენ ვერ ვესწრებით თქვენ მიერ მოწვეულ ყრილობას, მოკრძალებით გაცნობებთ ჩვენ აზრსა და შეხედულებას ყრილობის მიზანსა თუ მიზნების შესახებ: დღეს მსოფლიოს მოწინავე მრავალ სახელმწიფოებს უხათუოთ დიდი წარმატებით სოციალისტები განაგებენ,და აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტურ რეჟიმისაგან განთავისუფლებული ერთა სწრაფვაა ნამდვილ სოციალისტურ დემოკრატიის დამყარება დაფუძნებისაკენ.

ამიტომ თქვენი გადადგმული ნაბიჯი ყრილობის მოსაწვევათ მიზანშეწონილი, დროული და მისასალმებელია, ჩვენი ქვეყნის უკუთეს მერმისის შესაქმნელათ.

ჩვენმა პარტიამ, რომ კვლავ დიდების შარავანდედით შემოსოს ჩვენი ერი და ის მშვიდობიანობის,ნივთიერ კეთილ დღეობით,თანასწორობის თავისუფალ სუვერენულ ერის მწვერვალზე აიყვანოს და ოაზისათ აქციოს, უნდა გამოიყენოს ჩვენი პარტიის წარხული გამოცდილება: თავდაჭერილობა, მოთმინება, სიფხიზლე,მის საჭირბოროტო საკითხების გადასაწყვეტათ.

ჩვენი პარტიის ყრილობამ მის მაჩვენებელ გზის კომპასათ უნდა გაიხადოს ჩვენი პარტიის ფუძე-მდებლის და ბელადის ნოე ჟორდანიას მიერ ორ წინადადებაში ჩამოყალიბებული უკვდავი ლოზუნგი , რომელიც მან წააწერა ქართველი ერის ინტერეს დამცველ პარტიის დროშაზე ჯერ კიდევ 1893 წელს, რომელიც დღეს კიდევ უფრო აუცილებელ ჯეროვან სიძლიერით გვევლინება:

"ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრების; თავისუფლება მთელი ერისადა თვითეულ პიროვნებისა", რომელიც ურეზერვოთაიტაცა მთელმა ქა-

რთველმა ერმა და გახდა უძლეველ სამარადისო იდეალათ, რადგან საქართველო ნოე ჟორდანიას პირით ღაღადებდა და გამოხატავდა მის დაუცხრომელ ნება-სურვილს და მისწრაფებას. დღესაც ისე, როგორც წარსულში ეს ლოზუნგი უნდა დაუდოთ სარჩულათ ჩვენი პარტიის ძირითად პროგრამას.

პარტიამ უნდა იმოქმედოს დღევანდელ შექმნილ რეალურ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიურ შექმნილ პირობების მიხედვით და არა ფანტაზიებზე დამყარებულ ოცნებებით. პოლიტიკაში მდგომარეობა ქმნის შეგნებას იგი უგულო და გულქვაა და მის არსიდან ყოველივე მგრძნობიარობა, შებრალება გამორიცხულია.

ყრილობამ უნდა მიიღოს დადგენილება, რათა პარტიამ უპირველეს ყოვლისა თანასწორ უფლებრივი დიალოგი გამართოს ჩვენ დიდ მეზობელ რუსეთთან, რათა მასთან დაამყაროს პრივილეგიური, კეთილ მეზობლური დამოკიდებულება და აგრეთვე ყველა კავკასიაში მცხოვრებ ერებთან.

ამ მშვიდობიანი გზით და ტაქტიკით თქვენ მოიპოვებთ ქართველი ერის ნდობას და უფრო მეტად ჩაუნერგავთ ს.ს. დემოკრატიულ პარტიის უზადო სიყვარულს.

თქვენ უნდა გახდეთ თავდები და უზრუნველმყოფელი მშვიდობიანობის, ერთობის, ნივთიერკეთილდღეობის, და საქართველოს ზეაღსვლის.

ჩვენ სამშობლოს დაშორებულნი შვილნი საქართველოსი აქეთკენ მოგიწოდებთ და გიგზავნით გამარჯვების გრძნობებით აღსავსე აღბეჭდილ მამულიშვილურ სალამს.

ლ. ფ.

--..--

გაკვრით-- მიუნხეგის "თავისუფალ"რადიოს შესახებ.

--..--

ჩვენდა სასიხარულოდ და საბედნიეროთ გასულ წელს, მრავალი ჩვენი დიდი ხნის უნახავი თანამემამულენნი ეწვიენ პარიზს. მათთან შეხვედრებმა და საუბრებმა გაგვამხნევა და გულს იმედი ჩაგვისახა საქართველოს უკეთეს მერმისისათვის, რადგან ყველა მათგანი არიან განათლებული სწავლუნი და უანგარო პატრიოტები, გატაცებულნი სამშობლოს უზომო სიყვარულით და ერთგულობით.
თუ ჩვენ მათ უსვამდით მრავალ საკითხებს ჩვენ მშობლიურ საქართველოს შესახებ, საკითხების დასმაში აქაურ ამბების გასაგებათ არც ისინი ჩამოგვრჩებოდენ.
სხვათა შორის ერთმა სწავლულმა დაგვისვა ასეთი საკითხი: როგორია თქვენიდამოკიდებულება მიუნხენის რადიოსთან, თუ ვიზიარებთ მათ გადაცემების შინაარს და თუ ვთანამშრომლობთ ქართულ რედაქციასთან?
ჩვენი პასუხი იყო შემდეგი: ჩვენ დიდი ხანია აღარავითარი დამოკიდებულება აღარ გვაქს მიუნხენის რადიოსთან, რადგან დღევანდელ ქართულ სექციის მეთაურს სრულებითაც არ სურს ვიყოთ მისი მუშაობის კურსში და ამიტომ ჩვენს და მათ შორის ხიდი ჩატეხილია და ვაცხადებთ, რომ არ ვღებულობთ არავითარ პასუხისმგებლობას მათ მუშაობაში.
მიუნხენის რადიო დაარსებულ იქნა ეგრედწოდებულ ამერიკულ კომიტეტის ინიციატივით ყველა საბჭოთა რუსეთის დაპყრობილ ერების პოლიტიკურ წარმომადგენლებთან შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანხმებით. ამერიკელები აფინანსებდენ ამ დაწესებულებას,და იძლეოდენ სათანადო გადამცემ აპარატებს. პოლიტიკურ საქმიანობას მეთაურობდენ მხოლოდ და მხოლოდ ცნობილი პოლიტიკური პირები, მწერლები და სწავლულნი, მაგალითად ქართულ რედაქციას მეთაურობდა დამ.საქართველოს იუსტიციის ყოფილი მინისტრი რაჟდენ (მიშა) არსენიძე, რომელთანაც თანამშრომლობდენ ისეთი ცნობილი პირები,როგორიც იყვნენ: ევგენი გეგეჭკორი, გრიგოლ რობაქიძე, ნოე ცინცაძე,კოწია გვარჯალაძე და სხვა ცნობილი პირები. რადიოში თანამშრომლობდენ:სოციალ დემოკრატები, სოციალ ფედერალისტები,სოც. რევოლიუციონერები, თეთრი გიორგელები,და მრავალი უპარტიო ავტორიტეტული პირები, მათი გადაცემები ეგზავნებოდა ყველა ემიგრანტს, ვიყავით მათი მუშაობის კურსში და შეგვემლო , ამ ცნობილ პირების გადაცემების დაფასება-კრიტიკა.ეხლა მიუნხენის რადიომ ფერი იცვალა, ის გახდა წმინდა ამერიკულ დაწესებულებათ და რადიოს თანამშრომელნი გახდნენ მისი ერთგული ნება სურვილის ამსრულებელნი. ამ გარდაქმნის ხანაში ქართული რედაქციის უფროსის საქციელი ჩვენდამი არის არაკეთილშობრული , თვითნებური და დაუშვებელი, ვიმეორებთ, რომ დღევანდელი მიუნხენის რადიო არის ჩვენთვის უცხო დაწესებულება სადაც მსახურობენ ქართული ენის მცოდნე პირები. ვინაიდან ეხლა ჩვენი პრესა საქართველოში , ჩადის, ჩვენ ვაუწყებთ. ჩვენს აზრს პატივცემულ მკითხველთ, ყოველივე გაუგებრობის ასაკილებლათ.

ლ.ფ.








"პერესტროიკის" მომხიბლელი ჰანგებით, ევროპის გა-
ნმარტოება მის საბოლოო მორჩილებაში მოყვანისათვის:.

---.---



მსოფლიო კომუნიზმის ლენინური ძველმანი სიმბოლოს საბოლოო ღირსეული ადგილი, საბჭოთა რუსეთის "მოძმე" სოციალისტურ რესპუბლიკებში.

---...---

Le 7 Mai 1920, le Gouvernement soviétique signa, avec la Géorgie, un traité par lequel il reconnaissait, d'une façon catégorique et sans aucune réserve, l'indépendance et la souveraineté de cette dernière.

Voici dans quels termes était conçu le premier paragraphe de ce traité : "Se basant sur le droit de tous les peuples, proclamé par la République Socialiste Fédérative Soviétique Russe, de disposer d'eux-mêmes, jusque et y compris la séparation totale de l'Etat dont ils font partie, la Russie reconnait sans réserve l'indépendance et la souveraineté de l'Etat géorgien et renonce de plein gré à tous les droits souverains qui appartenaient à la Russie, à l'égard du peuple et du territoire géorgiens".

Plus tard, le 14 Novembre 1920, le même Gouvernement soviétique signa avec la Géorgie un accord de transit et de commerce qui garantissait les intérêts économiques des deux pays.

Ce qui arriva trois mois après la signature de cet accord est connu de tout le monde. Le 11 Février 1921, les armées rouges, sans déclaration de guerre, envahissaient la Géorgie du côté de l'Arménie et de l'Azerbaidjan soviétisés par la force, ainsi que du côté de la mer Noire, et, après cinq semaines d'une résistance acharnée de la part de la Géorgie, elles réussissaientà occuper son territoire.

Cette violation flagrante des obligations internationales fut un véritable défi jeté à la face du monde civilisé.

En effet, deux semaines avant cette invasion inouie, le 27 Janvier 1921, le Conseil Suprême des Alliés (France, Angleterre, Italie, Japon, Belgique), siégeant à Paris, reconnaissait <u>de jure</u> l'indépendance de la Géorgie et, faisant connaître au Gouvernement géorgien cette reconnaissance. Le Président de ce Conseil, Aristide Briand, écrivait entre autres : "Les Puissances alliées sont heureuses de pouvoir témoigner ainsi à nouveau de la sympathie avec laquelle elles ont suivi les efforts du peuple géorgien vers l'indépendance et de l'admiration que leur inspire l'oeuvre qu'il a déjà accomplie".

La Géorgie était reconnue également par la plupart des autres puissances et elle se trouvait avec elles en relations diplomatiques normales. Sa légation à Paris, ouverte dès le début de 1921, fonctionna jusqu'en 1933 inclus.

Il n'est donc pas étonnant que la violation de la Géorgie, entrée dans la famille des peuples libres, par la puissance qui avait été l'une des premières à la reconnaître, ait soulevé dans le monde une indignation générale. Parmi les protestations sans nombre émanant des différents pays, la plus sévère fut celle du Conseil Municipal de Paris, le 23 Février 1921, qui se terminait par ces mots : Le Conseil Municipal de Paris "voue au mépris des hommes le Gouvernement bolcheviste, qui, sans déclaration de guerre, porte le meurtre dans la République de Géorgie".

ეროვნული ბიბლიოთეკა

Nous avons reçu le livre "LARMES D'EXIL" de notre cher ami Georges TOGONIDZE dédié à son père déporté et mort dans un camps en Sibérie.
Voici un extrait poignant de son livre sur sa Patrie malheureuse la Géorgie : "Sous le régime Stalinien de sang et de terreur, oppresseur de tous les idéaux de création spirituelle, les satrapes sanglants de la tyrannie bolchéviste avaient tué plus de 50 millions d'hommes honnêtes, innocents de tout crime . Parmi les victimes de l'arbitraire et de la violence se trouve son père bien-aimé torturé à mort et tué férocement dans le camps de la mort en Sibérie . "

<u>25 février 1941</u>

"Il y a 20 ans que la Géorgie a perdu son indépendance nationale ; le nom de ce petit pays, qui figurait sur les cartes géographiques du monde, a disparu. La tempête des passions humaines égoïstes et des forces de l'obscurantisme s'est déchaînée sur l'océan de la vie des peuples. Ceci s'est produit en Géorgie le 25 février 1921, lorsque l'Armée Rouge de la Russie soviétique rompit le front de défense et déferla en Géorgie pour y établir le régime soviétique".

"L'étendard de la République nationale géorgienne fut arraché de l'édifice millénaire construit par le peuple géorgien et jeté dans les flammes du four bolchevik".

"Néanmoins, je pense que je me trompe en disant que la Géorgie est un vaisseau coulé, car cette comparaison ne correspond pas à sa situation réelle, d'autant plus que la Géorgie, quoique occupée par des ennemis qui y ont semé le feu et le sang, n'est pas devenue un pays mort, elle continue à exister malgré sa situation politique très précaire".

"En ce jour d'anniversaire tragique, le coeur saigne et bat avec douleur et souffrance, car la terre de la Géorgie est imprégnée du sang des centaines de mille et ses fils qui se sont sacrifiés pour défendre son honneur et sa liberté. Leurs ombres se rencontrent partout dans ce pays de malheur ! En ce jour, elles ressuscitent et rendent une visite silencieuse à tous ceux qu'elles ont profondément aimés et qui se sentent près d'eux unis dans l'immense amour de leur patrie et de l'humanité toute entière. Partout où ces ombres apparaissent, dans les maisons et les familles des sinistrés, elles sont accueillies avec dévouement et gratitude".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Moi, fils de la Géorgie malheureuse, je me joins à eux en ce jour de tristesse et de deuil national et je m'incline pieusement devant elles en récitant une prière pour le salut de la patrie et pour le repos des âmes de ceux qui sont tombés en la défendant. Mon coeur prononce les paroles suivantes :

"Etres saints et célestes ! Nous nous souvenons de votre volonté juste et généreuse. Vous habitez maintenant au Royaume des Cieux et le sang que vous avez versé illumine notre chemin menant vers le sublime idéal humain. L'étendard qui vous a été remis par nos glorieux ancêtres, au nom de notre patrie bien aimée, vous l'avez défendu avec abnégation et honneur, non seulement comme symbole de la grandeur de notre patrie, mais également comme symbole de la justice, de la paix et de l'humanité, car l'âme du peuple géorgien a toujours été au service de Dieu, du bien et des nobles et sublimes sentiments humains ; le chemin que vous avez parcouru nous donne la force et la foi d'être les continateurs de vos nobles exploits".

"La multitude de vos noms illumine le monde éternel".

"Vos exploits sont devenus immortels. Le monde de Jésus est au-dessus de vous !"

"En ce jour d'anniversaire tragique, le monde libre et chrétien vous a oubliés, car il est plongé dans l'égoïsme, dans la recherche des biens matériels, il glorifie la turpitude, la vantardise et la présomption - c'est la règle d'un monde monstrueux. Les nobles sentiments humains sont bafoués et profanés".

"Vous, martyrs et victimes, avez trouvé une place éternelle en Jésus..."

Et maintenant ? La Russie soviétique ne continue-t-elle pas la politique de conquêtes, inaugurée par Pierre le Grand ? Ne suit-elle pas la politique d'Alexandre Ier ? Elle a reconnu, en 1920, la Géorgie en tant que république souveraine et indépendante, elle a solennellement renoncé à toute revendication du territoire national géorgien, mais, en 1921, elle a traîtreusement attaqué la Géorgie et annexé, de connivence avec la Turquie, son territoire national (1).

Tout comme jadis, aucun des grands pays démocratiques de l'Europe n'est venu en aide à la Géorgie.

(1) A propos de ce genre, Jordania, Président de la République Géorgienne nationale écrivait "La Géorgie s'est vue cernée de tous les côtés par la 11e armée russe et par les unités de trois autres armées : 7e, 8e et 13e, sans compter les détachements de la cavalerie de Boudenny et Jloba. En même temps, la Russie a reçu l'aide militaire de la Turquie, qui a envahi le pays du côté Sud". (Le problème Géorgien, p. 12 Paris 1948).

ეროვნული ბიბლიოთეკა

Lorsque la Russie tzariste a, en 1801, supprimé l'état géorgien, vieux de plusieurs siècles, elle a unilatéralement violé l'accord conclu en 1783 entre la Russie et la Géorgie ; après cet acte illégal, le gouvernement russe a arrêté les héritiers de la célèbre dynastie des Bagrationi et les a expulsés dans des terres lointaines de l'Empire russe. Alors personne, en Europe Occidentale, n'a élevé la voix pour la défense de la Géorgie spoliée et personne ne lui est venu en aide. Tous ces tragiques évènements sont restés dans l'ombre, personne ne s'y est intéressé et n'a prêté la moindre attention à la destinée de la Géorgie.

"Ma vie errante continue, que pourra-t-elle m'apporter de bon et d'agréable ? Rien, je crois, car n'ayant pas les moyens de mener une autre vie, je dois continuer mon travail de force dans une usine ou dans un chantier où, je puis le dire d'avance, on me donnera, comme on l'a toujours fait dans le passé, le travail le plus pénible et le plus sale - lot de la plupart des émigrés politiques dans les pays libres d'Europe et d'Amérique".

## A LA FRANCE

J'éprouve depuis longtemps pour toi un amour naturel,
Et je t'ai promis, à jamais, mon amitié fraternelle.
Rien ne me réchauffe plus le coeur que de t'aimer ;
Rien ne m'est plus doux que de te révérer.
Tu es pour l'univers une aube de couleurs, et,
Par toi, la mystérieuse puissance de Dieu m'inonde de lumière.
La source semblant venir du ciel a seule la pureté de la tendresse.
Tu est la fleur du monde et
"Comme la vertu croit à l'immortalité,
Comme l'oeil croit au jour, l'âme à la vérité",
Je crois à ton éternité.
Comment te louer avec mes faibles paroles ?
Mon âme tourmentée prie pour toi avec la ferveur
Dont elle prie le Dieu Sauveur.
Je voudrais que tu acceptes cette prière.
Je veux baiser ton sol, et glorifier celui
Qui a donné à ton visage cet accent de bonté et de charité.
Ne me demande pas qui je suis, d'où je viens
Je te dirais seulement que mon but est l'Amour,
L'Amour qui élève tous les sentiments nobles de notre coeur
Et qui est le seul royaume de beauté égal à celui de Dieu.
Que ferais-je de la vie, si elle ne sert la justice, l'équité et la Paix ?
Dès ma jeunesse, j'ai banni à jamais la haine,
La méchanceté et le sang que l'on verse.
J'admire et je bénis celui qui, parmi les hommes,
Sème l'amour et la fraternité,
Et lorsque je laisse parler mon coeur
Il me dit ta justice et ta bonté.
Tu est le rayon de beauté qui illumine le ciel des peuples,
Et tu chantes, comme le rossignal chante à la rose,
La liberté et l'Amour :
Si à genoux je baise ton sol avec vénération,
C'est parce que tu es immortelle
Et que je te veux grande pour toujours.
Ne me demande pas qui je suis, d'où je viens,
Protège moi seulement et accepte, sincère,
Cet hommage à ta simple beauté.

Paris, le 25 décembre 1955.



Georges TOGONIDZE

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამგლოვიარო



ეროვნული
ბიბლიოთეკა



პავლე ვაშაძე.
1903 - 1989 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დაუვიწყარ მეგობრის ხსოვნას.

---..---

5 დეკემბერი 1989 წელი, ჩემს ცხოვრებაში დაუვიწყარი და წაუშლელი დარჩება, რადგან ამ დღეს უცხოეთში დავკარგე ჩემი ბავშობის ჩემთან შეზრდილი თანამოკლასე ურთგულესი განუყრელი მეგობარი და ნათესავი, ერთგული შვილი ჩვენი ერის, ჩემი პავლუშა.

რამდენი ტკბილი მოგონება ტრიალებს ჩემს გონებაში და ჩემს გულს ვაკვდები, რომ შენ ველარ გიხილავ ჩემს გვერდში. შენ ბედმა აღარ გარგუნა გენახა შენი პატიმარი ღვთიური სამშობლო განთავისუფლებელი, დამოუკიდებელი და აქ უცხოეთში 15 დეკემბერს მიგაბარეთ საზარლათ გათხრილ ცივ სამარეს შენც დამტოვე ეულათ ჩემი ცხოვრების მიწურულში და მწუხრით შეპყრობილს სამუდმოთ განუყრელი მტკინვეული ჭმუნვით გული დამიდალე.

ჩემო ძვირფასო პავლუშა!

შენ იყავი ჩვენი სიამაყე, რადგან ქართული ეროვნული თავმოყვარეობა შენი განუყოფელი ნაწილი იყო, შენს გულში მუდამ ღვივოდა ჩაუქრობელი ცეცხლი ეროვნულ თავისუფლების და დარჩი ურთგულესი მსახური შენი გულის უკანასკნელ ფანცქალამდე შენი საყვარელი სამშობლოსი.

1924 წლის ეროვნულ აჯანყებაში ჩვენი ქვეყნის დამპყრობელთა წინააღმდეგ შენ მიიღე სრულიად ახალგაზრდამ მთელი შენი პატრიოტული უანგარო გატაცებით აქტიური მონაწილეობა და ყველა შენი დავალებები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრწყინვალეთ შეასრულე შენს მშობლიურ ჭიათურაში.
მვირი დაუჯდა შენს დიდ წამებულ ოჯახს ჭიათურის აჯანყება, ორი ძმა ზესტაფონში უმოწყალოდ ლაჩრურად გაუსამართლებლათ ვაგონებში დაგიხვრიტეს, მესამე ძმა ქუჩაში მოგიკლეს , მეოთხე შორეულ ციმბირში გადაკიკარგეს და შენ,მეხუთე ძმა სამუდამოთ განშორდი შენ განაწამებ მოხუც დედ-მამას.
აჯანყების დამარცხების შემდეგ საზედნიეროთ პავლე ვერ შეიპყრეს, ის მხოლოდ ამნისტიის შემდეგ ჩაბარდა ხელისუფლებას და სასწაულით გადურჩა დახვრეტას,რომელიც იმ დროს განუკითხავად მძვინვარებდა ჩვენშიდ.
ამით არ გათავებულა პავლეს ბრძოლა ჩვენი ქვეყნის ჯალათთა მიმართ . პავლე იყო წევრი ს.ს. დემოკრატიულ პარტიის და სწორედ მისმა პარტიამ მას დაავალა მისი სიცოცხლისათვის საზედისწერო, უაღრესად ძნელად შესასრულებელი ამოცანა, მას უნდა მოეხერხებინა,რაც არ უნდა დაჯდომოდა კონსომოლთა ჯგუფში შესვლა, მას უნდა მოეხერხებინა ამ ჯგუფის მიერ მისი დელეგატათ არჩევა და შორაპნის მაზრის კონსომოლთა სახელით მისი წარგზავნა თბილისში მათ ყრილობაზე, რომელიც ჩატარებულ იქნებოდა საზეიმო ვითარებაში ხელისუფალთა მიერ, სადაც პავლე უნდა გამოსულიყო სიტყვით და საჯაროთ მათთა მოულოდნელათ დაეგმო და ემხილა ბოლშევიკების ბოროტება და ვერაგობა ჩვენი ქვეყნის წინაშე.პავლემ იცოდა თუ რა მოელოდა ამისათვის, პარტიამაც არ დაუმალა მას , რომ ეს იქნებოდა მისი თავგანწირვა და შეიძლება წამებული სიკვდილიც, მიუხედავათ ამისა პავლემ უშიშარ რაინდულ გამბედაობით

უყოყმანოთ მიიღო მისთვის საბედისწერისო დავალება, და ერთხელ კიდევ თავი გასწირა სამშობლოსათვის.

დადგა საბედისწერო დღე- ყრილობის დელეგატები თბილისში ხელისუფლებამ დიდი პატივით და ზეიმით მიიღო, დარბაზში ტევა აღარ იყო, პირველ ორ დელეგატმა ქება დიდება შეაფრქვიეს კომუნისტურ პარტიას და მის ხელმძღვანელებს აღფრთოვანებით მიესალმენ. ჯერი მიდგა პავლეზე, რომლის სახელი და გვარი მაღალფეროვან . ბრწყინვალებით გამოაცხადეს. იმ დღეს ყრილობის იმ დაუვიწყარ საათებში პავლე ავიდა ადამიანის გოლიათურ გამბედაობის უმაღლეს უბიწო მწვერვალზე, რადგან მან საჯაროთ დიდ შთამაგონებელ გულში ჩამწდომ წარმოთქმულ სიტყვაში საჯაროთ ამხილა ბოლშევიკების ვერაგობა, ბოროტება ჩვენი ქვეყნის წინაშე და უშიშრათ, შეუპოვრათ გაკიცხა საქართველოს მოღალატე შვილთა საქციელი. პავლეს სიტყვამ სიჩუმით მოცულ დარბაზში გამაბრუებელი, სენსაციური გაშტერებ- გაოცება გამოიწვია, ყრილობა მაშინვე დროებით დახურულათ გამოაცხადეს! პავლე იქვე დაატუსაღეს, გაბრაზებულ ჩეკისტებმა ის ხელებ გაკრული ჩეკის ერთ ბნელ ნახევრად ბინძურ წყლით სავსე დამშეულ ვირთაგვებით გაჭედილ სარდაფში ჩააგდეს და ამ წყალშიდ ძალადობით თავს აყოფინებდენ გონების დაბნევამდე სუნთქვის შეჩერებით.

ჩეკისტებს სურდათ გაეგოთ, ვისი დავალებით გამოვიდა ის ამ ყრილობაზე და წამებით გაოგნებულ პავლეს სთხოვდენ გაეცა ისინი, რისთვისაც პირდებოდნენ არამც თუ განთავისუფლებას არამედ სტიპენდიას უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლათ და განცხრომით ცხოვრებას.

ჯალათებმა ვერ შებღალეს ვერც დაპირებებით , ვერც

წამებით მისი არ ნახული სულიერი და ფიზიკური სიმტკი-
ცე. პავლე არ დასტოვა მისმა პარტიამ და ის იმ დროს
ცნობილ სეით დევდარიანის თავდებობით გაანთავისუფლეს
და სიკვდილს გადაარჩინეს.

პავლე ბუნებით მოკრძალებული, თავდაბალი არასოდეს არ ლაპარაკობდა მის მოწამებრივ საარაკო თავგადასავალზე, და ეხლაც ალბათ უკმაყოფილო იქნებოდა ჩემზედ ამ სტრიქონების დაწერვისათვის.

პავლესმოელოდა კვლავ დატუსაღება და პარტიის რჩევით მან დასტოვა მისი საყვარელი დედულ- მამული, ბედ-შავი მშობლები და დარბეულ გაპარტახებული ოჯახი.

პავლე აგრეთვე დაჯილდოვებული იყო თავის განთქმულ სტუმარ-მასპინძლობით, უყვარდა ჩვენი ახალგაზრდობა, მათი წარმატებებით ხარობდა, საქართველოდან ჩამოსულებზე მას ხომ მზე ამოდიოდა და თავის ჩვეულებრივ გულუხვობით პატივსა სცემდა, მისი ბინის კარები ლევილის ქართულ მამულში ყველასათვის ღია იყო და მის მაგიდაზე პურ გაუტეხლათ შინ არავინ ბრუნდებოდა, რადგან მის სუფრაზე მეფობდა ქართული ზნე-ჩვეულება ადათი და საქართველოს ხედავდით. პავლე იყო ჩვენი შემაერთებელი პიროვნება, მის სუფრაზე მიწვეულ მეგობრებს ხშირად მისებურ წკიპურტს გვესროდა "გამოჩიჩინებულებს" გვეძახდა ყველას, რომელიც მას ისე შვენოდა, მაგრამ ამ სტყვში გამოსჭვიოდა მისიკეთილი გულის ბუმბერაზობა, ჩვენდამი მზრუნველობა და სიყვარული, ღიახაც შენ იყავი ჩვენი თაობის ღირსეული წარმომადგენელი.

გული მომიკლა შენმა განშორებამ, შენ საფლავზე მე

სიტყვაც ველარ გითხარი, მაგრამ მთელი ჩემი არსება კრთოდა , როდესაც მწვავე გულის ცჯივილით გეთხოვებოდენ ჩვენი სიყრმის მეგობარი სიმონ ბლიაძე და შენი ერთად ერთი გადარჩენილი უნცროსი ძმა, ხახალხო არცისცი მიშა, რომელიც საგანგებოთ ჩამოვიდა შენ დაკრძალვაზე, მის ვაჟთან ერთად. შენს კუბოს თავსადგა შენი დალუპული ძმის შვილი-შვილი შავ ძაძებში მოსილი საყვარელი შენი შორენა და გულამოსკვნილი გციროდა, ისიც ხომ საგანგებოთ ჩამოვიდა ქ.,ათურიდან, მოგიცანა შენ დედ-მამის საფლავზე მოთხრილი მიწა, მიწა ჩვენი საყვარელი ჭიათურის და გულ მოკლული სამუდამოთ ცრემლ ულევველი გამოგეთხოვა.

ნახვამდის ჩემო დაუვიწყარო მეგრბარო, მარცო დიდხანს აღარ დაგცოვებ, მეც ალბათ ვერ მოვესწრები ჩვენს სამშობლოს თავისუფლებას და მის ხილვას, მაგრამ მწამს და მჯერა, რომ საქართველო კვლავ აღსდგება სუვერენულ სახელმწიფოთ და იმ დღეს , სწორეთ იმ დღეს ქართველი ხალხის ყრიამული და სიხარულის სიმღერა ჩვენ შორეულ ცივ სამარეშიდაც ჩამოწვდება, ჩვენც შევიგრძნობთ ამ დიად დღეს და ჩვენც ვიქნებით ჩვენი ერის ამ ჯიდმშვენიერების ბრწყინვალე ,ზეიმზედ მასთან ერთად.

ღირსეულ და საუკუნო იქნება ხსენება შენი ჩემო დაუვიწყარო საყვარელო მუდამ საგონებელო ძმაო პ ა ვ ლ უ შ ა, მხოლოლ სიკვდილმა შეგვიწყვიცა ჩვენი მეგობრობა და შენი თავი სამუდამოთ წამართვა

---..---

ლევან ფალავა.

## 1989- წლის

## სამგლოვიარო მწუხრის კუთხე.

---...---

მწუხარებით ვაუწყებთ ქართულ საზოგადოებას:

წელს 17 ივლის კანადაში გარდაიცვალა ექ. მ.გვასალია

წელს 23 ივლის პარიზში გარდაიცვალა ქალბატონი ლიუსი ცევ- აწ განსვენებულ გიორგი დადიანის მეუღლე.

წელს ლონდონში გარდაიცვალადავით მეტრეველი.

წელს 19 ნოემბერს ლევილში გარდაიცვალა თამარ საბა-ხტარაშვილი- მუსხელიშვილისა.

წელს 31 ოქტომბერს ქალ. მონლუეში გარდაიცვალა მარი ლუიზ მერლენი აწ განსვენებულ შალვა მენგელიას მე-უღლე.

წელს 23 ნოემბერს პარიზში გარდაიცვალა ოლგა ივანო-ვნა სმირნოვა აწ განსვენებულ პარმენ კობახიძის მე-უღლე.

წელს 4დეკემბერს ლევილშიდ უეცრად გარდაიცვალა 86 წლის ასაკში ემიგრაციაში კარგათ ცნობილი პავლე ვ ა შ ა ძ ე. დასაფლავებულ იქნა 15 დეკემბერს ლევილის ძმათა სასაფლაოზე.

"ჩვენი დროშა"-ს რედაქცია სამძიმარს უცხადებს მათ ჭირისუფლებს და იზიარებს მათ მწუხარებას.

---..---

"ჩვენი დროშა"-ს რედაქცია ულრმეს მადლობას უცხადებს ყველა იმ პირებს, ვისი კეთილშობილობით და მეოხებით ჟურნალი განაგრძობს არსებობას. წერილები და ფულადი დახმარება, უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

L. PAGAVA
3, rue Adolphe Cherrioux
92 Issy les Moulineaux

46-42-48-23.

--..--

შემომწირველთა სია.

1. პირ. უფლების დამცველ სექციიდან..... 2000-ფრ.
2. ცეზა გოლდმანი........................ 600 --
3. ვ. ზარათელი.......................... 500 --
4. სიმონ ბლიაძე......................... 500 --
5. პავლე ვაშაძე......................... 300 --
6. მარიკა ყენე.......................... 300 --
7. გიორგი მორალიშვილი 50 დოლარი=..... 240 --
8. თათარხან ანთაძე...................... 200 --
9. რუბენ გვეცაძე........................ 200 --
10. კარლო გვარჯალაძე 35 დოლარი =....... 160 --
11. აკაკი შავგულიძე..................... 200 --
12. მკითხველი........................... 160 --
13. მართა გეგეჭკორი სტურუა.............. 150 --

5.510 ფრ.

ნაშთი ........................... + 1.721 ---

7.231

გასავალი ........................ - 4.990

2.241 ფრ.

სალაროშია:2.241ფრ.+ 180 დოლარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი.

--.ₒ--

გვერდი:

1. საახალწლო მილოცვა.

2. პრეზიდენტ ნოე ჟორდანიას სურათი.

3. შავი თებერვალი.

4. ხუთი წელი........................ ნოე ჟორდანია.

6. ლექსი ალექსანდრე ყაზბეგი.

7. თებერვალი......................ლევან ფაღავა.
9. ცხრა აპრილი ეროვნული გლოვის დღე....ლ.ფ.
10. ლექსი .........................მოთა აბაშიძე.
11. ისტორიული წამები.............გრიგოლ რობაქიძე.
16. ქართველი დედის წერილი.........--"--"

18. თებერვლის დაპყრობის ზგიერთი ეპიზოდები.
27. 1989 წელში მომხდარი ამბების შეჯამება..ლ.ფ.
32. მოკლედ ..........................ლ.ფ.
35. გაკვრით მიუნხენის რადიოზე.....ლ.ფ.

37.-38- შარჟი.
39. ფრანგულათ საქართველოს ცნობის აქტი რუსეთისმიერ
40. "--" გიორგი ცოგონიძეს მოგონებიდან და მისივე ლექსი საფრანგეთზე.

44. ნეკროლოგი პავლე ვაშაძეზე..........ლ.ფ.

51. სამგლოვიარე მწუხრის კუთხე.

52. შემომწირველთა სია და "ჩ. დ-ის"- ანგარიშები.

--..--

ი166/244 2024

ეროვნული ბიბლიოთეკა



რედაქტორი-- ლევან ფაღავა.

ჟერანი-- პროკოფ ინწკირვე

Redacteur: Levan PAGAVA
3 rue Adolphe Cherioux
92130 Issy les Moulineaux

Hors commerce

Gérant : Pr. intskirvel

№ 118.